პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ც. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
27 აგვისტო
1940 წ.
№ 198 (5899)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ცხოვრების დამკვიდრება საბჭოთა ბალტიისპირეთში

გაიხსნა ლიტვისა და ლატვიის სს რესპუბლიკების სეიმებისა და ესტონეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს საგანგებო სესიები. ისინი იხილავენ უმნიშვნელოვანეს საკითხებს: თავისი სრულუფლებიანი კომისიების მოხსენებებს მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე ყოფნის შესახებ, თვითეული რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) შესახებ, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შექმნის შესახებ. ეს საგანგებო სესიები აღნიშნავენ ახალ ეტაპს ბალტიისპირა რესპუბლიკების მთელი ცხოვრების საბჭოურად გარდაქმნაში.

ბევრი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ლიტველი, ლატვიელი და ესტონელი ხალხებისათვის ახალი, საბჭოთა ცხოვრება დაიწყო. კაპიტალისტური უღლისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში უკვე გაშლილია დიდი შემოქმედებითი მუშაობა. სიხარულით აღსავსე, შემოქმედებითს ყოველდღიურ მუშაობაზე მეტყველებს ამ ქვეყნებიდან მიღებული ყოველი ცნობა. ნაციონალიზებულია მსხვილი საწარმოები, ბანკები, დამყარებულია 8-საათიანი სამუშაო დღე ფაბრიკებსა და ქარხნებში. მუშები და მუშა-ქალები აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, შეაქვთ რაციონალიზატორული წინადადებანი, ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას.

საბჭოთა ბალტიისპირეთის სოფლებში მუშაობა დაიწყეს მიწის კომიტეტებმა. ისინი აღრიცხავენ მიწებს მიწათსარგებლობის დაწესებული ნორმის—30 ჰექტარის ზევით, იღებენ უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხების განცხადებებს, აძლევენ მათ მიწას. საბჭოთა ხელისუფლებამ ლიკვიდაცია უყო მთელ ძველ გადასახადებს, ვალებს, საიჯარო გადასახდელებს, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვა მშრომელ გლეხობას.

ყველგან იქმნება საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

საბჭოთა წესები დღითი-დღე სულ უფროდაუფრო მტკიცედ მყარდება თავისუფალ რესპუბლიკებში. კაუნასში ფაბრიკების გაქცეულ პატრონთა სასახლეებში იხსნება ბაგები მუშათა ბავშვებისათვის. ტალინში განზრახვა აქვთ დაიწყონ სახლების მშენებლობა მთელ რიგ საწარმოთა მუშებისათვის. ვილნოში იქმნება სახელმწიფო დრამატიული თეატრი, სახელმწიფო ფილარმონია, სიმფონიური ორკესტრი. ფაბრიკებსა და ქარხნებში იხსნება კლუბები. ეწყობა დასასვენებელი სახლები, ახალი სკოლები. ამოქმედდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის საბჭოთა სისტემა. მშრომელნი უდიდეს, უმაგალითო მოთხოვნილებას აყენებენ პოლიტიკურ ლიტერატურაზე.

ასეთია ბალტიისპირა რესპუბლიკებში საბჭოთა სისტემის დამკვიდრების პირველი შტრიხები. ლიტვისა და ლატვიის სს რესპუბლიკების სეიმებისა და ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს გახსნილი საგანგებო სესიები იწყებენ შემდგომ ეტაპს ამ ქვეყნებში საბჭოთა ხელისუფლების განვითარების გზაზე. სესიებზე განხილული და დამტკიცებულია თვითეული რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). ეს კონსტიტუციები ემყარებიან გამარჯვებული სოციალიზმის სტალინურ კონსტიტუციას, რომელმაც განუმტკიცა საბჭოთა კავშირის მშრომელთ შრომის, დასვენების, განათლების, მოხუცებულობაში უზრუნველყოფის უფლება, კონსტიტუციას, რომელიც ყველა ეროვნებათა თანასწორუფლებიანობას ამყარებს. ამ რამდენიმე თვის წინათ კი ამ ქვეყნებში სტალინური კონსტიტუციის წაკითხვა მხოლოდ ფარულად, პოლიციისაგან მალულად შეიძლებოდა!

ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკების თავისებურებებთან დაკავშირებით კონსტიტუციათა განსახილველი პროექტები თავის განსაკუთრებულ მხარეებს შეიცავენ. ასე, მაგალითად, ლიტვის სსრ კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ მეურნეობის სოციალისტურ სისტემასთან ერთად დაიშვება ერთპიროვნულ გლეხთა, ხელოსანთა, შინამრეწველთა, წვრილ კერძო სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა კერძო მეურნეობანი კანონის მიერ დაწესებულ ფარგლებში. ამით გაბათილებულია სმეტონელთა ნამსხვრევების ჭორები იძულებითი კოლექტივიზაციის შესახებ, ხელოსანთა, წვრილ მრეწველთა და ვაჭართა დევნის შესახებ.

საგანგებო სესიების პირველ სხდომებზე უდიდესი ყურადღებითა და აღფრთოვანებით მოისმინეს მოხსენებანი სრულუფლებიანი კომისიების თავმჯდომარეებისა, რომლებმაც უამბეს მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე ყოფნის შესახებ, დიადი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ახალი საბჭოთა რესპუბლიკების მიღების შესახებ, ამხანაგ სტალინთან, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრათა შესახებ. სრულუფლებიანი კომისიების მოღვაწეობა სესიებმა ერთხმად მოიწონეს, და ამ გადაწყვეტილებაში გამოხატულია საბჭოთა ბალტიისპირეთის ხალხთა მისწრაფება მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად განამტკიცონ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, აშენონ თავისი ნათელი, სიხარულით სავსე ცხოვრება მემამულეებისა და კაპიტალისტების უღლისაგან განთავისუფლებულ მიწა-წყალზე.

სესიები შეუდგნენ თავისი რესპუბლიკების საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ჩამოყალიბებას. ლიტვისა და ლატვიის სს რესპუბლიკების სეიმები და ესტონეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბირო, რომლებიც არჩეული არიან საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით და გამოხატავენ მშრომელი ხალხის ნამდვილ, ჭეშმარიტ ნება-სურვილს, გამოცხადებულ იქნენ რესპუბლიკების დროებით უმაღლეს საბჭოებად.

ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების წინაშე უდიდესი ამოცანები დგას. საჭიროა ამ რესპუბლიკებმა უმოკლეს ვადაში აანაზღაურონ ის, რაც დააკლდათ კაპიტალისტური რეჟიმის არსებობის 20 წლის განმავლობაში, დაეწიონ ხნით უფროს საბჭოთა რესპუბლიკებს, რომლებიც წინ წავიდნენ თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებით. ეჭვს გარეშეა, რომ ბალტიისპირა სამ საბჭოთა რესპუბლიკაში ახლა ფართო ეკონომიური აყვავება დაიწყება, ვინაიდან ასეთია შესანიშნავი თვისება სტალინური კონსტიტუციისა, რომლის ცხოველმყოფელ სხივებ ქვეშ აღორძინდებიან ხალხები, ჩაღდება უდიდესი, სიხარულით აღსავსე, შემოქმედებითი მუშაობა, სწრაფად იზრდება ხალხის კეთილდღეობა.

ახალი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური აყვავებისათვის მძლავრი სტიმული იქნება ის გარემოება, რომ აღდგენილია ხელოვნურად დარღვეული ეკონომიური ურთიერთობა ბალტიისპირა რესპუბლიკებსა და სსრ კავშირს შორის. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ისეთი საფეიქრო გიგანტი, როგორიც არის კრენჰოლმის მანუფაქტურა, კაპიტალისტების დროს ძლივს მუშაობდა თავისი სიმძლავრის ერთი მეხუთედის დატვირთვით, იმიტომ რომ პატარა ესტონეთში არ იყო ბაზარი ქსოვილების გასასაღებლად. ახლა კრენჰოლმის მანუფაქტურა მთელი თავისი სიმძლავრით ამუშავდება: საბჭოთა კავშირში ბამბა საკმარისია, და ჩვენი ქვეყნის ბაზარი უდიდესია. ეჭვს გარეშეა ის, რომ ახალ საბჭოთა რესპუბლიკებში მალე დაიწყება ძველ საწარმოთა რეკონსტრუქცია, გაფართოება და ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა. ყოველივე ეს გამოიწვევს მრეწველობის სწრაფ ზრდას ბალტიისპირა რესპუბლიკებში.

მუშები საბჭოთა ბალტიისპირეთის საწარმოებში, მოიშორეს რა კაპიტალისტური უღელი, ამაღლებენ გამომუშავების ნორმებს, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. ფაბრიკებსა და ქარხნებში საპატიო ხდება საბჭოთა სიტყვა „სტახანოველი“. ეჭვს გარეშეა, ეს ცნება მალე სისხლსა და ხორცში გაუჯდება ახალი საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთ, და შრომა აქ სათაკილო ტვირთიდან, როგორიც ის იყო კაპიტალიზმის დროს, გახდება ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ.

საბჭოთა ხელისუფლება ბალტიისპირა ქვეყნებში სოფლის მეურნეობის აღმავლობასაც იწვევს. მთელი მოწინავე საბჭოთა აგრონომიული მეცნიერება დაეხმარება ახალი რესპუბლიკების მშრომელ გლეხობას, რომელიც უკვე გზავნის თავის წარმომადგენლებს მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რათა გადაიღოს საბჭოთა მიწათმოქმედების უმდიდრესი გამოცდილება.

ხალხებზე, რომლებმაც ეს-ეს არის თავი დააღწიეს კაპიტალისტურ ჩაგვრას, ჯერ კიდევ გავლენა აქვს კაპიტალისტურ ნაშთებს. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა აქ მედგარი, მოთმინებითი და გულმოდგინე მუშაობა უნდა აწარმოონ ადამიანთა მასობრივი გარდაქმნისათვის. სოციალისტური საკუთრების თვალისჩინივით დაცვა, ხალხის სასარგებლოდ ნაყოფიერად მუშაობა, შრომის უსასტიკესი დისციპლინის დაცვა — აი ძირითადი მცნებები, რომლებიც უნდა აღიბეჭდოს თვითეული მშრომელის გულში და რომლებიც უნდა განსაზღვრავდეს მისი როგორც სოციალისტური ქვეყნის მოქალაქის ქცევის ნორმებს. ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ კლასობრივი მტრები, პლუტოკრატიულ ხროვათა ნამსხვრევები შეეცდებიან ყოველნაირად ავნონ ნორჩ საბჭოთა რესპუბლიკებს, ავნონ მშრომელ ხალხს. თვითეული მშრომელის ამოცანაა ფხიზლად იდგეს სოციალისტურ მონაპოვართა სადარაჯოზე.

ეჭვს გარეშეა, რომ სულ მოკლე ხანში ჩვენ მოწმენი ვიქნებით საბჭოთა ბალტიისპირა რესპუბლიკების სწრაფი ზრდისა, და უახლოეს წლებში ისინი სიხარულითა და შემოქმედებითი სიამაყით აღსავსე ანგარიშს ჩააბარებენ მთავრობას, პარტიას, ამხანაგ სტალინს იმის შესახებ, რომ თავისი ეკონომიური და კულტურული დონით ისინი პირველ რიგებში დგებიან ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან ერთად.

„პრავდის“ მოწინავე, 26/VIII.

ლიტვის სახალხო სეიმის საგანგებო სესია

კაუნასი, 24 აგვისტო (საკდესი). მხოლოდ ერთი თვე გავიდა იმ დღიდან, რაც მუშაობა დაამთავრა ლიტვის სახალხო სეიმის სესიამ, რომელმაც მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ.

ეს თვე მეტად მდიდარი იყო ამბებით. საბჭოთა ლიტვა შევიდა საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი ოჯახის შემადგენლობაში. ქალაქად და სოფლად განხორციელებულია უდიდესი გარდამქმნელი მუშაობა.

სახელმწიფო მმართველობის საჭე ხელში აიღეს მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციიდან გამოსულმა ახალმა ადამიანებმა. ლიტველი ხალხის სეიმის დღეს შეკრებილი საგანგებო სესია თითქოს აჯამებს ამ კოლოსალური გარდამქმნელი მუშაობის ზოგიერთ შედეგს და ახალ ფურცელს სწერს განთავისუფლებული ლიტვის ცხოვრებაში.

სეიმმა ერთხმად დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1) ლიტვის სახალხო სეიმის სრულუფლებიანი კომისიის ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში ლიტვის სს რესპუბლიკის მიღების შესახებ.

2) სამანდატო კომისიის მოხსენება უკმერგის საარჩევნო ოლქში სეიმის არჩევნების შედეგების შესახებ.

3) სეიმის საკონსტიტუციო კომისიის მოხსენება ლიტვის სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შესახებ.

4) სახალხო სეიმის ლიტვის სსრ დროებით უმაღლეს საბჭოდ გამოცხადების შესახებ.

5) ლიტვის სსრ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების შექმნის შესახებ.

თავმჯდომარე ამხ. გედვილასი პირველი საკითხის გამო სიტყვას აძლევს სრულუფლებიანი კომისიის ხელმძღვანელს პალეცკისს. მის მოკლე მოხსენებას მქუხარე ტაშით აწყვეტინებენ ყოველთვის, როდესაც იგი ახსენებს ლიტველი ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მეგობრის ამხანაგ **სტალინის** სახელს.

— ლიტველმა ხალხმა, — ამბობს ამხ. პალეცკისი, — გამოსთქვა სურვილი შევიდეს საბჭოთა ხალხების ოჯახში, რათა დიადი საბჭოთა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად მხარდამხარ აშენოს თავისი ცხოვრება, თავისი ბედნიერი მომავალი. საბჭოთა კავშირის ხალხებმა ჩვენი სურვილი დააკმაყოფილეს. ლიტველი ხალხი ისე, როგორც ყველა საბჭოთა ხალხი, დიდი სტალინის გარშემო ერთიანდება.

— საბჭოთა ლიტვამ, — განაგრძობს მომხსენებელი, — რომელიც საბჭოთა კავშირში შევიდა, შეინარჩუნა თავისი სუვერენიტეტი. მან შეიძინა მტკიცე, საიმედო დამცველი — მძლავრი წითელი არმია, ჰპოვა საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობა და ძმური დახმარება. ახლა ჩვენს წინაშე გადაშლილია ისეთი პერსპექტივები და შესაძლებლობანი, რომლებსაც ჩვენთვის საუცხოო მომავალი მოაქვს.

ვილნო მტკიცედ და სამუდამოდ ხდება ლიტვის დედაქალაქი. ახლა უკვე ვერავითარი ჟელიგოვსკები ვერ წაგვართმევენ მას! ჩვენი ინტერესების სადარაჯოზე სდგას ძლევამოსილი 193-მილიონიანი საბჭოთა ხალხი. ჩვენ გვიცავს უძლეველი წითელი არმია, ჩვენთვის ზრუნავს დიდი სტალინი.

ამხ. **პალეცკისის** უკანასკნელი სიტყვები იწვევენ თავისი ძალით განსაკუთრებულ ოვაციას ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

დეპუტატ **ლოვიდენასის** გამოსვლის შემდეგ სეიმი ერთხმად ადგენს, მოწონებულ იქნას სეიმის სრულუფლებიანი კომისიის მუშაობა.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა დეპუტატი **სნეჩკუსი**. ტაშის საერთო გრიალში იგი ამბობს, რომ დამატებითი არჩევნების შედეგად უკმერგის საარჩევნო ოლქში სახალხო სეიმის დეპუტატად არჩეულია ამხ. პალეცკისი. დეპუტატი **ტამულიავიჩუსი** წინადადებას იძლევა უკამათოდ დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება. სეიმი ერთსულოვნად ეთანხმება ამ წინადადებას.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე სიტყვა ეძლევა სეიმის საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **პაკარკლისს**.

— საკონსტიტუციო კომისია, — იწყებს იგი თავის მოხსენებას, — კონსტიტუციის პროექტის შედგენის დროს ხელმძღვანელობდა სახალხო სეიმის გადაწყვეტილებებით. ლიტველი ხალხის ნება-სურვილი ნათლად გამოიხატა სახალხო სეიმის არჩევნებში, ხალხმრავალ მიტინგებზე, დემონსტრაციებზე, კრებებზე სესიის პირველი სეიმის შემდეგ.

ეს ნება-სურვილი იმაში მდგომარეობდა, რომ ლიტვას უნდა ექნეს კონსტიტუცია, რომელიც ემყარება მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებსა და დებულებებს.

ეს პრინციპები წარმოადგენენ მთელი ჩვენი ცხოვრების, მთელი ჩვენი სახელმწიფო წყობილების საფუძველს.

შემდეგ ამხ. პაკარკლისი აღნიშნავს, რომ ლიტვის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი შედგენილია მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციების მაგალითის მიხედვით, მაგრამ ლიტვის კონსტიტუციაში არის საკუთარი თავისებურებანი, რაც აიხსნება ლიტვის რესპუბლიკის, როგორც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის განსაკუთრებული მდგომარეობით.

მომხსენებელი სეიმის დეპუტატების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს კონსტიტუციის პროექტის მე-8 მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ მეურნეობის სოციალისტურ სისტემასთან ერთად, ლიტვის სს რესპუბლიკაში დაშვებულია ერთპიროვნულ გლეხთა, ხელოსანთა, შინამრეწველთა, წვრილ, კერძო სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა კერძო მეურნეობა კანონით დაწესებულ ფარგლებში.

— ლიტვის სს რესპუბლიკა, — აცხადებს შემდეგ მომხსენებელი, — წარმოადგენს საბჭოთა კავშირის თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკას. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენი რესპუბლიკის ნაციონალური კულტურის განვითარებისა და დიადი საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს კონსტიტუციის პუნქტები, რომლებიც ლიტვის სს რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების შექმნას შეეხება.

დასასრულ მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არჩევის უფლებით და იმის უფლებით, რომ არჩეულ იქნას, ისარგებლებს ყველა მოქალაქე, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი და არა 21 წელი, როგორც ეს სახალხო სეიმის არჩევნების დროს იყო.

მქუხარე ტაშის გრიალში დეპუტატი **პაკარკლისი** აცხადებს:

— სასიამოვნო, სასიხარულოა, როდესაც უყურებ, თუ როგორ იფურჩქნება მოკავშირე ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დიადი სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელ სხივებ ქვეშ.

სასიხარულოა მონაწილეობის მიღება იმ ახალი ცხოვრების მშენებლობაში, რომელიც სტალინური კონსტიტუციის პრინციპებს ემყარება. სასიხარულოა შრომა და ცხოვრება იმ ქვეყანაში, რომელიც ლენინისა და სტალინის გენიით არის გასხივოსნებული.

ამხ. პაკარკლისის მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ მწერალი დეპუტატი ცვირკა, დეპუტატი შუმაუსკასი და დეპუტატი ვენცლოვა.

ხვალ იქნება სესიის გაგრძელება.

25 აგვისტოს დილის სხდომა

კაუნასი, 25 აგვისტო (საკდესი). დღეს დილის სხდომაზე სეიმმა მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლებმაც ახალი თავი უნდა გახსნან ლიტველი ხალხის ისტორიაში.

დილის სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიის მოხსენების გამო გამართულ კამათში პირველად გამოვიდა დეპუტატი პალეცკიენე, რომელმაც საერთო ტაშის გრიალში განაცხადა, რომ ამ დღიდან ლიტვის მშრომელი ხალხი იღებს კონსტიტუციას, რომელზედაც იგი მრავალი წლის განმავლობაში ოცნებობდა. ეს განსაკუთრებით ახარებს ლიტველ ქალებს, რომელთათვისაც კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს მამაკაცების თანასწორ უფლებებს. სმეტონას ლიტვაში მუშა-ქალს დღეში 16 საათი უნდა ემუშავნა, რაშიაც იგი გროშებს იღებდა. სტალინური კონსტიტუცია ფართოდ უღებს ქალს ბედნიერი ცხოვრების, კულტურული და პოლიტიკური საქმიანობის კარებს.

სესიის სხდომის დარბაზში შემოდის კაუნასის მუშათა დელეგაცია. მათი სახელით სახალხო სეიმს ესალმება ამხ. ვლადას შეშკისი, რომელიც ამბობს:

— სეიმის პირველი სესიის დამთავრების დღიდან განვლილ პერიოდში ჩვენ დავრწმუნდით, რომ თქვენ — სახალხო სეიმის დეპუტატებმა — სწორედ გაიგეთ და შეასრულეთ ხალხის ნება-სურვილი. ამისათვის დიდი მუშური მადლობა თქვენ!

ამ სიტყვებს დეპუტატები მქუხარე ტაშით ხვდებიან.

ვილნოს სამიწათმოქმედო კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი პაშკევიჩუსი სეიმს მოუთხრობს იმ განსაკუთრებული აღფრთოვანების შესახებ, რაც გამეფებულია ლიტვის სოფელში. გლეხობა ენთუზიაზმით შეხვდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და ახალ კანონებს მიწის შესახებ. გლეხები ყველგან აქტიურად ეხმარებიან სამიწათმოქმედო კომისიებს.

— არ შეიძლება იმის ფიქრი, — ამბობს დეპუტატი სნეჩკუსი, — რომ საკმარისია მივიღოთ კონსტიტუცია და ბედნიერი ცხოვრება თავისთავად მოვა. საჭიროა ჩვენ ყველამ და თვითეულმა ჩვენგანმა დაუღალავად ვიმუშაოთ, ვიშრომოთ ჩვენი რესპუბლიკის საკეთილდღეოდ, მთელი ჩვენი დიდი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის საკეთილდღეოდ.

დეპუტატი პოეტი ლიუდას გირა, რომელიც სეიმის ტრიბუნაზე გამოდის, კითხულობს თავის პოემას კონსტიტუციის შესახებ. კითხვის დროს დარბაზში მრავალჯერ გაისმის მქუხარე ტაში. ტაში განსაკუთრებული ძალით გაისმის იმ ადგილების კითხვის დროს, სადაც პოეტი ლაპარაკობს მშრომელი კაცობრიობის დიდ ბელადზე, ლიტველი ხალხის განმათავისუფლებელზე — ამხანაგ სტალინზე.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა დეპუტატი პაკარკლისი. მან შეიტანა წინადადება, დამტკიცდეს ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი, რომელიც შემოტანილია საკონსტიტუციო კომისიის მიერ.

სეიმი გადადის კონსტიტუციის პროექტის მუხლობრივ კითხვაზე. დეპუტატები ტაშით გამოხატავენ კონსტიტუციის ყველა მუხლის ერთსულოვნად მოწონებას. თავმჯდომარე, დეპუტატი გედვილასი კენჭს უყრის საკონსტიტუციო კომისიის მიერ შეტანილ პროექტს. დეპუტატები ერთხმად ამტკიცებენ კონსტიტუციის ყველა მუხლს.

— ვინ არის წინააღმდეგი? — არავინ!

— თავს ვინ იკავებს? — არავინ!

— კონსტიტუციის ყველა მუხლი, — საჯაროდ აცხადებს ამხ. გედვილასი, — მიღებულია ერთხმად.

სიხარულით აღტყინებული ყველა დამსწრე ფეხზე დგება. გრიალებს მძლავრი მქუხარე ტაში, რომელიც ყოველი წამის შემდეგ ძლიერდება. სხდომების დარბაზიდან, ლოჟებიდან, აივნებიდან გაისმის შეძახილები:

— გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

— გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს!**

დეპუტატები მღერიან „ინტერნაციონალს“. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ძველი სეიმის თაღებს ქვეშ მძლავრად და საზეიმო სიხარულით გაისმის დიადი ჰიმნი.

— გაუმარჯოს ჩვენს **სტალინს!** — კვლავ გაისმის ამაღლებული შეძახილი როგორც კი „ინტერნაციონალის“ ხმა სწყდება. გულის სიღრმიდან ამონახეთქ ამ შეძახილს ყველა დამსწრე მქუხარე ტაშითა, მრავალგზის „ვაშას“ და „ვალიეს“ ძახილით ხვდება.

შესვენების შემდეგ დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე — იმის შესახებ, რომ სახალხო სეიმი ლიტვის სს რესპუბლიკის დროებით უმაღლეს საბჭოდ გამოცხადდეს, სიტყვა ეძლევა დეპუტატ **დიდჟიულისს**. იგი აღნიშნავს, რომ სახალხო სეიმი ერთსულოვნად იყო არჩეული მთელი ლიტველი ხალხის მიერ. სახალხო სეიმმა შეასრულა ხალხის ნება-სურვილი. დეპუტატ დიდჟიულისს წინადადება შეაქვს გამოცხადდეს სახალხო სეიმი ლიტვის სს რესპუბლიკის დროებით უმაღლეს საბჭოდ.

სეიმმა ერთხმად მიიღო დეპუტატ დიდჟიულისის წინადადება და დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაავალა დანიშნოს ლიტვის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ვადა.

რიგსგარეშე ცნობისათვის სიტყვა ეძლევა რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებელს, პრემიერ-მინისტრს ამხ. იუსტას პალეცკისს. ამხ. პალეცკისი აღნიშნავს, რომ, დღევანდელ დღეს მიღებული ლიტვის სსრ კონსტიტუციის 120 მუხლის თანახმად, ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი არის ვილნიუსი (ვილნო). მას წინადადება შეაქვს დადგენილ იქნას ვილნიუსში მთავრობისა და მთავრობის დაწესებულებათა გადასვლის ვადა. სეიმი ერთხმად იღებს ამ წინადადებას და რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს ავალებს, დაუყოვნებლივ შეუდგეს ვილნიუსში გადასვლის მზადებას იმ ანგარიშით, რომ 1941 წლის 1-ლი მაისისათვის განხორციელდეს იგი.

სახალხო სეიმს დიდი აღფრთოვანებით მიესალმებიან ლიტვის ახალგაზრდობის დელეგაცია და პიონერთა დელეგაცია, დეპუტატები გულთბილად ხვდებიან თავისუფალი საბჭოთა სოციალისტური ლიტვის ახალგაზრდა მოქალაქეთ.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

ლიტვის სსრ დროებითი უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

კაუნასი, 25 აგვისტო (საკდესი). ლიტვის სსრ დროებითი უმაღლესი საბჭოს სესიის პირველი სხდომა მიეძღვნა რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების შექმნას. დეპუტატ გუზიავიჩიუსის წინადადებით, სესია ლიტვის სსრ დროებითი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ირჩევს დეპუტატ ბარანაუსკასს, მის მოადგილეებად—დეპუტატებს დოვიდენასსა და კუტრაიტს.

დეპუტატ მიცკუსს წინადადება შეაქვს არჩეულ იქნას დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მისი თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილენი. ლიტვის სსრ დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ დეპუტატ იუსტას პალეცკისს, მის მოადგილეებად დეპუტატებს დიდჟიულისსა და როჩუსს, პრეზიდიუმის მდივნად ირჩევენ დეპუტატ პუტეიკისს, დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად—დეპუტატებს სნეჩკუსს, ბაუჟას, ცვირკას, პაშკევიჩუსს, პეტრაუსკასს, ვინიცკისს, ჟებენკას, აბდულსკაიტეს, მეშკაუსკენეს, ეიდუკაისტის.

ამის შემდეგ აგრეთვე ერთხმად იქნა არჩეული: სამანდატო და საბიუჯეტო კომისიები და ლიტვის სსრ უმაღლესი სასამართლო.

დეპუტატ გრიგალავიჩიუსის წინადადება შეაქვს შეიქმნას სახალხო კომისართა საბჭო. დროებითი უმაღლესი საბჭო ლიტვის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ ერთსულოვნად ირჩევს დეპუტატ გედვილასს და ანდობს მას წარადგინოს სესიის შემდგომი სხდომისათვის სახალხო კომისართა—სახკომსაბჭოს წევრთა სია.

ამით დამთავრდა ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის საღამოს სხდომა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

ამ დღეებში სსრ კავშირის სახკომსაბჭომ განიხილა საკითხი, თუ რა წესით უნდა გადაეცეს სასამართლოს საქმეები იმ დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით და რა წესით უნდა შესრულდეს განაჩენები ამ საქმეთა გამო.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა საწარმოთა დირექტორებსა და დაწესებულებათა უფროსებს, რომ მასალა იმ პირთა შესახებ, რომლებმაც სამუშაო გააცდინეს არასაპატიო მიზეზით და აგრეთვე რომლებიც თვითნებურად წავიდნენ საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან, უშუალოდ გადასცეს სახალხო სასამართლოს, ტრანსპორტში კი სახაზო სასამართლოს არა უგვიანეს არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისა ან სამუშაოდან თვითნებურად წასვლის ფაქტის გამორკვევის შემდგომი დღისა.

საწარმოთა ხელმძღვანელებისა და დაწესებულებათა უფროსების მიერ სასამართლოში გასაგზავნი მასალა უნდა შეიცავდეს ამონაწერს საწარმოსადმი ან დაწესებულებისადმი გაცემული ბრძანებიდან, რომლითაც დადგენილია არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისა ან სამუშაოდან თვითნებურად წასვლის ფაქტი, აგრეთვე ცნობას პასუხისგებაში მიცემულის წინანდელი დისციპლინარული სასჯელის შესახებ და ადგილსაცხოვრებლის შესახებ.

საწარმოთა დირექტორები და დაწესებულებათა უფროსები ვალდებული არიან სახალხო სასამართლოთა და სახაზო სასამართლოთა განაჩენები გამცდენთა მიმართ იძულებითი სამუშაოს შესახებ შეასრულონ განაჩენის იმ ასლის საფუძველზე, რომელიც სასამართლოს მიერ ეგზავნება საწარმოს თუ დაწესებულებას.

მსჯავრდადებულის დათხოვნის შემთხვევაში საწარმოთა დირექტორები და დაწესებულებათა უფროსები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ შრომის გამასწორებელ სამუშაოთა ინსპექციას, რათა განაჩენი შესრულებულ იქნას ახალი სამუშაოს ადგილას ან ამის უქონლობისას შრომის გამასწორებელ სამუშაოთა ინსპექციის მითითებით.

სასამართლოში საქმეების გაგზავნის და განაჩენის შესრულების აღნიშნული წესის დარღვევისათვის საწარმოთა ხელმძღვანელები და დაწესებულებათა უფროსები მიცემულ უნდა იქნან სამართალში.

(საკდესი).

ციტრუსოვანთა მყნობის ახალი რეკორდი

მახარაძე (ტელეგრაფით „კომუნისტის“ კორ.). 24 აგვისტოს სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობის წევრმა, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ ამხ. მ. ჩხაიძემ 6.049 ძირი ლიმონი დაამყნო, რითაც მყნობის ახალი რეკორდი დაამყარა. ერთ დღეს კოლმეურნე ჩხაიძემ 14 შრომადღე გამოიმუშავა.

საკდესის ცნობა

უცხოეთის პრესაში დაიბეჭდა ცნობები იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა მთავრობას ამ დღეებში თურქეთისაგან მოეთხოვოს თანხმობა საბჭოთა ფლოტის გავლაზე დარდანელში, თუ ბალკანეთის ნახევარკუნძულის რაიონში ომი ატყდება.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობები მთლიანად მოჭორილია.

კომუნიკე

შერეულმა კომისიამ, რომელიც შექმნილია მოლოტოვ-ტოგოს 9 ივნისისა და ლოზოვსკი-ტოგოს 18 ივლისის შეთანხმების საფუძველზე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და მანჯოუგოს რწმუნებულებისაგან, დაიწყო მუშაობა ქ. ჩიტაში 1940 წლის 3 აგვისტოს.

სულ ჩატარდა 6 სხდომა, რამაც დადებითი შედეგები გამოიღო. ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ გაიმართა სპეციალისტ-ექსპერტთა თათბირი. ურთიერთი გაგების ვითარებაში განხილულ და შემუშავებულ იქნა ადგილზე მუშაობის ინსტრუქციები.

25 აგვისტოს ორივე მხარის დელეგაცია ქ. ჩიტიდან ადგილზე გაემგზავრა.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში შეიყვანა რუსეთის სფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. ა. მ. საფრონოვი.

ლატვიის სახალხო სეიმის საგანგებო სესია

რიგა, 24 აგვისტო (საკდესი). დღეს გაიხსნა ლატვიის სახალხო სეიმის საგანგებო სესია. ამჯერად სხდომა მიმდინარეობს თვით სეიმის შენობაში, რომელმაც პირველად გაუღო კარი თავისუფალი ლატვიის მშრომელთა მასების ნამდვილ სახალხო წარმომადგენლებს. სეიმის ფასადი მორთულია წითელი დროშებითა და ხუთქიმიანი ვარსკვლავით, რომელზედაც გამოსახულია ნამგალი და ჩაქუჩი. ხალხის უდიდესი მასები—მუშები, მშრომელები და ინტელიგენცია — სიხარულის მღელვარებით ადევნებენ თვალყურს დეპუტატების მოსვლას.

სხდომის დარბაზში სადღესასწაულო განწყობილება სუფევს. დეპუტატები და მრავალი სტუმარი დიდად აღფრთოვანებული არიან, დამსწრენი არაჩვეულებრივი ყურადღებით უსმენენ ხალხის წარმომადგენელთა სიტყვებს, ცდილობენ არცერთი სიტყვა არ გამოეპაროთ.

გახსნა რა სესია, სეიმის თავმჯდომარემ დეპუტატმა ბრედისმა სესიას აცნობა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღება, ამასთან დაკავშირებით, სეიმის წევრთა მოთხოვნით მოწვეულ იქნა სეიმის საგანგებო სესია.

დეპუტატ ამხ. ნეილანტის წინადადებით, სეიმი ერთხმად იღებს შემდეგს დღის წესრიგს:

1. სეიმის სრულუფლებიანი კომისიის ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის გადაწყვეტილებაზე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ლატვიის სს რესპუბლიკის მიღების შესახებ.

2. მოხსენება ლატვიის სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შესახებ.

3. საბჭოთა ლატვიის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შექმნის შესახებ.

მოსკოვში სრულუფლებიანი კომისიის მგზავრობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებელმა, პრეზიდენტ-მინისტრმა პროფესორმა კირხენშტეინმა. მქუხარე ტაშით არაერთხელ გააწყვეტინეს მას ცნობა მოსკოვში მგზავრობაზე, გულითად მიღებაზე, რაც დელეგაციას მოუწყეს მოსკოვში, და განსაკუთრებით უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, სადაც განხილულ იქნა ლატვიის სსრ წარმომადგენელთა თხოვნა საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადს ოჯახში საბჭოთა ლატვიის მიღების შესახებ.

დეპუტატებმა და სტუმრებმა უდიდესი აღფრთოვანებით გამარჯვება უსურვეს ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს**, საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს**, წითელ არმიასა და მის ხელმძღვანელებს.

— ამხანაგო დეპუტატებო,—ამბობს ამხ. კირხენშტეინსი,—ნება მიბოძეთ მხურვალე სალამი გადმოგცეთ მოსკოვისაგან, მძლავრი საბჭოთა კავშირის დედაქალაქისაგან, საბჭოთა ხალხების მეგობრული ოჯახის დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისაგან**, საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **მოლოტოვისა** და მათი თანამებრძოლებისაგან.

ეს სიტყვები ახალ აღტაცებულ ოვაციას იწვევენ.

— ბელორუსიის ვაგზალზე, მოსკოვში, ამბობს ამხ. კირხენშტეინსი, — ჩვენს დელეგაციას სიხარულით მიესალმნენ წითელი დედაქალაქის მშრომელები. მეორე დღეს დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობა. 1940 წლის 5 აგვისტო წარმოადგენდა დიადს ისტორიულ დღეს ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის. დიდი მღელვარებით, ზეიმით შევედით ჩვენ ლატვიის კომუნისტური პარტიის დროშებით უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, დიდი კრემლის სასახლეში. ჩვენ მქუხარე დაუსრულებელი ოვაციებით მოგვესალმნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიისა და დიადი საბჭოთა კავშირის მთავრობის ხელმძღვანელები. ჩვენ მიგვიღეს, როგორც სასურველი და ღვიძლი ძმები, როგორც თანამებრძოლნი კომუნიზმის გამარჯვებისათვის გაერთიანებულ ბრძოლაში.

სრულუფლებიანი კომისიის წევრები გამოდიოდნენ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, ლატვიელი ხალხის ულრმეს მადლობას უძღვნიდნენ მძლავრი საბჭოთა კავშირის ბელადს ამხანაგ **სტალინს**, საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს** და მათს ერთგულ თანამებრძოლებს კაპიტალისტური მონობისაგან ჩვენი მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ერთსულოვნად დააკმაყოფილა ლატვიელი ხალხის თხოვნა და დაადგინა მიიღოს ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, როგორც თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის წევრთა დაუსრულებელი ოვაციები იმას მოწმობდა, რომ ლატვიის მშრომელ ხალხთან ერთად ხარობს და ზეიმობს საბჭოთა კავშირის მთელი მრავალმილიონიანი და მრავალეროვანი ოჯახი.

ლატვიაში დაბრუნების წინ დელეგაციას დაუვიწყარი გულთბილი საუბარი ჰქონდა ამხანაგ **სტალინთან** ჩვენი ბედნიერი, ახალი ცხოვრების მოწყობის ყველა გადაუდებელ საკითხზე.

— ვამთავრებ რა ჩემს მოკლე ანგარიშს ლატვიის ხალხის დავალების შესრულების შესახებ,—ამბობს ამხ. კირხენშტეინსი, — მე დელეგაციის სახელით უდიდესი მადლობა უნდა გადავუხადო დიდ მასწავლებელს, მთელი მსოფლიოს ხალხთა გენიალურ ბელადს ამხანაგ **სტალინს** და საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს**.

გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს!**

გაუმარჯოს ამხანაგ **მოლოტოვს!**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ბედნიერ ოჯახს!

გაუმარჯოს მოკავშირე ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

ამხ. კირხენშტეინსის ამ სიტყვებს დეპუტატები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. დარბაზში ჰქუხს ოვაცია დიდი **სტალინისა** და მისი თანამებრძოლების პატივსაცემად. ერთხმად, უდიდესი აღფრთოვანებით მიღებულია გადაწყვეტილება, მოწონებულ იქნას სრულუფლებიანი კომისიის მუშაობა.

ამით დამთავრდა სესიის სხდომა.

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ლატვიის სახალხო სეიმის საგანგებო სესია

(დასასრული)

25 აგვისტოს დილის სხდომა

რიგა, 25 აგვისტო (საქდესი). დღეს, დილის 10 საათსა და 30 წუთზე, გაიხსნა ლატვიის სახალხო სეიმის საგანგებო სესიის მეორე სხდომა.

სხდომის გახსნისას სეიმის თავმჯდომარე, დეპუტატი ბრედისი აცხადებს, რომ სეიმი გადადის დღის წესრიგის მეორე მუხლის—ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენების — განხილვაზე და სიტყვას აძლევს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ სპურეს.

— ამხანაგებო, სეიმის დეპუტატებო,—ამბობს ამხ. სპურე, — კონსტიტუციის პროექტი — რომელიც საკონსტიტუციო კომისიას დღეს სეიმის დასამტკიცებლად შემოაქვს, შემუშავებულია სეიმის 1940 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საკონსტიტუციო კომისიის ამოცანას შეადგენდა შეემუშავებინა ისეთი კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც მოითხოვს ლატვიის მუშათა კლასი, გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია. ხალხის ეს ნებასურვილი გამოიხატა სახალხო სეიმის 1940 წლის 14 და 15 ივლისის არჩევნებით და სეიმის მიერ ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ, საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად ოჯახში ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესვლის შესახებ, მრეწველობის ნაციონალიზაციისა და საყოველთაო-სახალხო კუთვნილებად მიწის გამოცხადების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებით, რომლებიც მოწონებულია ყველა მშრომელის მიერ.

1922 წლის 15 თებერვალს მიღებული ძველი კონსტიტუცია შემუშავებული და მიღებული იყო ხალხის მონაწილეობის გარეშე და მიმართული იყო ხალხის წინააღმდეგ. ეს იყო კაპიტალისტური და მემამულური ლატვიის კონსტიტუცია. იგი ემსახურებოდა ხალხის დამონების მიზნებს, იმ მიზნებს, რომ გადაექციათ ლატვია ყველა მშრომელის სამშობლოზე—სოციალიზმის დიად ქვეყანაზე — საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელ პლაცდარმად. ძველი კონსტიტუცია ლატვიის ბურჟუაზიამ შეიმუშავა უცხოელ კაპიტალისტთა ზეგავლენით და მათი კარნახით. ეს ვაჟბატონები ტყუილად კი არ ტრაბახობდნენ, რომ მათ შეძლეს აღემართათ ბალტიისპირა ქვეყნებში ანტიბოლშევიკური ზღუდე. მაგრამ იმპერიალისტები ანგარიშში მოსტყუვდნენ! ლატვიის ხალხებმა დიადი საბჭოთა კავშირის დახმარებით ჩაშალეს ომის იმპერიალისტურ გამჩაღებელთა მთელი გეგმები, სამუდამოდ დაამხეს ექსპლუატატორ მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება. ლატვია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდა.

ძველ კონსტიტუციაში ნათქვამი იყო: „ლატვია დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკაა“. ეს მხოლოდ მაღალფარდოვანი სიტყვები იყო. საქმით კი ლატვია სავსებით დამოკიდებული იყო იმპერიალისტურ მტაცებლებზე, იგი მთელ თავის საგარეო და საშინაო პოლიტიკას მათი ბრძანების თანახმად ატარებდა. მუშათა კლასის, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის უაღრესად აქტიური, ყველაზე უფრო რევოლუციური ნაწილი კომუნისტური პარტიის მეთაურობით სასტიკ არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. არჩევნებში თავიანთი კანდიდატურის აშკარად წამოყენება შეეძლოთ მხოლოდ იმ პარტიებს, ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებიც იყვნენ ხალხისა და საბჭოთა კავშირის მტრები, ხალხის დამრჩობნი. პოლიტიკური ვაჭრუკანებისა, მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის ძველი კონსტიტუცია ნამდვილად უზრუნველჰყოფდა ძარცვისა და ექსპლუატაციის თავისუფლებას.

ძველ კონსტიტუციაში თვალთმაქცურად იყო ნათქვამი: „ხელისუფლება ლატვიელ ხალხს ეკუთვნის“. არა, ხელისუფლება ხალხს არ ეკუთვნოდა! კაპიტალისტთა და მემამულეთა მოსყიდულ ხროვას, ხაზინის მძარცველებს, ხალხის მჩაგვრელებს, მის მოსისხლე მტრებს—აი ვის ეკუთვნოდა ხელისუფლება!

ძველი კონსტიტუცია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ამომრჩევლებს არა აქვთ სეიმის ცალკეულ წევრთა გაწვევის უფლება“. მაშასადამე, საკმარისი იყო მხოლოდ სეიმში მოხვედრა და შემდეგ კი ამომრჩევლისთვის არავითარი ყურადღებაც არ მიექცია. ასე უზრუნველყოფდა ძველი კონსტიტუცია ამომრჩეველთა ხმებითა და ინტერესებით ვაჭრობას, იგი სხვადასხვა პოლიტიკური ავანტურისტებისათვის, ხალხის ექსპლუატატორებისათვის უზრუნველჰყოფდა იმის უფლებას, რომ ამომრჩეველთა ხმები გამოეყენებინათ მმართველი კლასების ინტერესების სასარგებლოდ, შავბნელი მიზნებისათვის!

ამხ. სპურე, რომელსაც დეპუტატები განსაკუთრებული ყურადღებით უსმენენ, ახასიათებს ახალი კონსტიტუციის ძირითად დებულებებს. იგი აღნიშნავს, რომ ახალი კონსტიტუცია საკანონმდებლო წესით განამტკიცებს ლატვიის ხალხის ძირითად მონაპოვარს. ძალა-უფლება მშრომელებს ეკუთვნის. ქარხნები, ფაბრიკები, მიწა, რკინიგზები, საყოველთაო-სახალხო კუთვნილებაა. რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს უმაღლესი საბჭო, რომელსაც ირჩევს ხალხი საყოველთაო, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე საიდუმლო კენჭისყრით.

— სწორედ ეს არის,—დეპუტატთა მქუხარე ტაშის გრიალში ამბობს ამხ. სპურე, — დიადი სტალინური კონსტიტუციის ნამდვილი დემოკრატია!

დარბაზში ჰქუხს დაუსრულებელი ოვაცია დიდი **სტალინის** პატივსაცემად.

ამხ. სპურეს მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

ბრწყინვალე ამაღლვებელ სიტყვას ამბობს დეპუტატი ამხ. **პალდინი**.

— ბურჟუაზიულ - მემამულურ ლატვიაში, — ამბობს იგი, — ცხოვრების მთელი სიკეთე ექსპლუატატორებს ეკუთვნოდა. მუშათა კლასის ხვედრი იყო მხოლოდ მონური შრომა და ეს შრომაც მოწყალებასავით უნდა მიეღო კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან. განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ ის მუშები, რომლებიც ბედავდნენ საპროტესტო ხმის ამაღლებას პლუტოკრატიული ხროვის წინააღმდეგ. ასეთ მუშებს პირდაპირ ერეკებოდნენ სამუშაოდან, სასტიკად სდევნიდნენ და შიმშილსა და სიღატაკეს უმზადებდნენ.

ლაპარაკობს რა შემდეგ მუშაქალის მძიმე ხვედრის შესახებ, დეპუტატი **პალდინი** აცხადებს:

— მშრომელ ხალხს — არც მამაკაცებსა და არც ქალებს — არა ჰქონდათ არც სამუშაოს, არც განათლების, არც დასვენების უფლება. ძველი კონსტიტუცია, ძველი კანონები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ შეეზღუდათ მშრომელი ხალხის ფართო მასების განათლება და სიბნელესა და უმეცრებაში ჰყოლოდათ ისინი.

დეპუტატი პალდინი დიდი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ადამიანის იმ დიად უფლებებზე, რომლებსაც მშრომელი ხალხისათვის უზრუნველჰყოფს ახალი კონსტიტუცია.

— ახალი, საბჭოთა კონსტიტუცია, — აღნიშნავს იგი, — საშუალებას აძლევს მშრომელ ქალს გამოიყენოს თავისი ძალა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული საქმიანობის ყველა დარგში, საშუალებას აძლევს მას მთელი სიგრძესიგანით გაშალოს თავისი შემოქმედებითი ნიჭი.

დეპუტატები ი. ლაცისი, პაბერზი და სხვები თავიანთ გამოსვლებში ერთსულოვნად იწონებენ ლატვიის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს, რომელიც წარმოდგენილია საკონსტიტუციო კომისიის მიერ. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს კონსტიტუცია, რომელიც შედგენილია დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, უზრუნველჰყოფს საბჭოთა ლატვიის საწარმოო ძალთა სწრაფ და ყოველმხრივ განვითარებას, მისი კულტურის ზრდას, მშრომელი მასების კეთილდღეობის ამაღლებას.

ამხ. სპურეს საბოლოო სიტყვის შემდეგ სესია მუხლობრივი კითხვით ერთხმად ამტკიცებს ლატვიის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს, რომელიც წარმოდგენილია საკონსტიტუციო კომისიის მიერ.

თავმჯდომარე აცხადებს:

— ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებულია ერთხმად!

ამ სიტყვებს დეპუტატები მქუხარე ტაშით უპასუხებენ. გრიალებს მძლავრი ოვაცია. დეპუტატები ფეხზე დგებიან და „ინტერნაციონალს“ მღერიან.

დეპუტატ პალდინის წინადადებით სესია ერთხმად ადგენს: სახალხო სეიმი გამოცხადდეს ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროებით უმაღლეს საბჭოდ და მიენიჭოს მას უფლებები, რომლებიც კონსტიტუციის თანახმად მინიჭებული აქვს ლატვიის სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

სეიმმა ერთხმად, მქუხარე ტაშით მიიღო ეს წინადადება. ამით დამთავრდა სეიმის სხდომა.

ლატვიის სს რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

რიგა, 25 აგვისტო (საქდესი). ლატვიის სს რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა გახსნა უხუცესმა დეპუტატმა ამხ. კრუზემ.

დროებითი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია დეპუტატი ბრედისი.

დეპუტატ ნეილანდის წინადადებით, დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი პროფესორი ა. კირხენშტეინსი, თავმჯდომარის მოადგილეებად — დეპუტატები: პ. პლესუმი და ა. უპიტი, მდივნად — დეპუტატი პ. ბლაუ, პრეზიდიუმის წევრებად — დეპუტატები ი. პაბერზი, ი. ნედრა, ჟ. სპურე, კ. გაილისი, რ. დამბიტსი, რ. კლიავინი, ო. აუგუსტსი.

უხუცესთა საბჭოს სახელით დეპუტატ პლესუმს შემოაქვს წინადადება — ლატვიის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დეპუტატი ვილის ლაცისი, რომელსაც დაევალოს შემდეგი სხდომისათვის წარმოადგინოს წინადადებანი ახალი მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

ეს წინადადება მიღებულია ერთხმად მქუხარე ტაშით. სესიამ განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღო მისალმებანი ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის**, საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **მოლოტოვისა** და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ **კალინინის** სახელზე. დიდ ხანს არ სცხრება აღფრთოვანებული ოვაცია ამხანაგ **სტალინისა** და მის თანამებრძოლთა პატივსაცემად.

დროებითი უმაღლესი საბჭოს სესიის შემდეგი სხდომა შესდგება ხვალ, დღის 12 საათზე.

ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს საგანგებო სესია

ტალინი, 24 აგვისტო (საქდესი). დღეს, შუადღისას გაიხსნა ესტონეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს სესია. სესიამ მუშაობა დაიწყო იმ დღეებში, როდესაც სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში მიღებული განთავისუფლებული ესტონელი ხალხი უდიდეს სიხარულს განიცდის, როდესაც იგი უკვე სდგამს პირველ ნაბიჯს იმ გზაზე, რომლითაც 22 წელზე მეტია ძლევამოსილად მიდის დიადი საბჭოთა კავშირი.

სესიის დღის წესრიგში სდგას სამი საკითხი:

1. სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიის მოხსენება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების თაობაზე.
2. სახელმწიფო სათათბიროს საკონსტიტუციო კომისიის მოხსენება ესტონეთის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შესახებ.
3. ესტონეთის სს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შექმნა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე გამოვიდა სრულუფლებიანი კომისიის თავმჯდომარე, რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებელი, პრემიერ-მინისტრი იოჰანეს ვარესი. ამხ. ვარესმა, რომელსაც დეპუტატები გულთბილად შეხვდნენ, თავის სიტყვაში განაცხადა:

— სრულუფლებიანმა კომისიამ შეასრულა მისთვის დაკისრებული ამოცანა ისე, როგორც ეს ესტონეთის მშრომელ ხალხს სურდა. თქვენ იცით, თუ როგორი აღფრთოვანებითა და ერთსულოვნობით მისცეს ხმა 1940 წლის 6 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ესტონეთის განთავისუფლებული ხალხის მიღებას საბჭოთა ხალხების მეგობრულ ოჯახში. ესტონეთის მშრომელები — საბჭოთა კავშირის —სოციალიზმის დიადი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქენი არიან. ამ სახელწოდებას ჩვენ სიამაყითა და პასუხისმგებლობის გრძნობით ვატარებთ. ჩვენ ვეცდებით გადავაქციოთ ესტონეთი მოწინავე მოკავშირე რესპუბლიკად.

ახლა ჩვენში სტალინური კონსტიტუციის მზე ბრწყინავს. 6 აგვისტოს დღე ესტონელი ხალხის ისტორიაში შევა, როგორც უდიდესი თარიღი. ჩვენ, სრულუფლებიანი კომისიის წევრები, ბედნიერი ვართ, რომ შევძელით ესტონეთის მშრომელი ხალხის ნება-სურვილის შესრულება.

— გაუმარჯოს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

— გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირს!

— გაუმარჯოს ხალხთა გენიალურ ბელადს ამხანაგ **სტალინს**!

დარბაზში ჰქუხს ოვაცია. დეპუტატები ტაშისცემით გამოხატავენ ესტონელი ხალხის მტკიცე მისწრაფებას საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად იარონ სოციალიზმის გზით, გამოხატავენ უდიდეს სიყვარულსა და მადლობას ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი**.

დეპუტატ ამხ. ა. აბენის წინადადებით სახელმწიფო სათათბირომ ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„მოისმინა რა სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიის ანგარიში იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის შემადგენლობაში ესტონეთის სს რესპუბლიკის მიღების შესახებ, სახელმწიფო სათათბირო სცნობს, რომ სრულუფლებიანმა კომისიამ შეასრულა ესტონეთის მშრომელი ხალხის ერთსულოვანი სურვილი“.

შემდეგ სახელმწიფო სათათბირო გადადის დღის წესრიგის მეორე პუნქტის განხილვაზე. ესტონეთის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ამხ. **ი. ლაურისტინი**, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ყველა დეპუტატმა დაძაბული ყურადღებით მოისმინა მისი საინტერესო, შინაარსიანი მოხსენება.

ამხ. ლაურისტინმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ 1940 წლის 23 ივლისს სახელმწიფო სათათბირომ აირჩია საკონსტიტუციო კომისია ესტონეთის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესამუშავებლად. 20 დეპუტატის შემადგენლობით არჩეული კომისია მაშინვე შეუდგა მუშაობას და ამჟამად სახელმწიფო სათათბიროს განსახილველად და დასამტკიცებლად უდგენს კონსტიტუციის პროექტს.

— მშრომელები, — ამბობს ამხ. ლაურისტინი, — ესტონეთის სს რესპუბლიკის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში მუშები წამყვან როლს ასრულებენ. წინათ ისინი იძულებული იყვნენ უმნიშვნელო ხელფასად ემუშავნათ, ტანჯვა-წამება განეცადათ პოლიტიკური და ეკონომიური ჩაგვრის გამო, მოკლებული იყვნენ კულტურული განვითარების საშუალებას და მხოლოდ იმაზე ჰფიქრობდნენ, რომ როგორმე თავი გაეტანათ.

სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტს მშრომელი გლეხები შეადგენენ. ახლა ისინი იშრომებენ თავისთვის და არა მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის. ბოლოს, ჩვენს ქვეყანაში არის მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია, რომელსაც აგრეთვე წინათ სტანჯავდა უმუშევრობა, პლუტოკრატიული ხროვის რეაქციული პოლიტიკა.

ესტონეთში გატარებულია მსხვილი მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაცია. მუშები განთავისუფლდნენ კაპიტალისტური ექსპლუატაციისაგან, გახდნენ თავიანთი საწარმოების ბატონ-პატრონნი, სახელმწიფო პოლიტიკის ხელმძღვანელები. მას შემდეგ, რაც მიწა ხალხის საკუთრებად გამოცხადდა, უმიწო გლეხები, ღარიბი და საშუალო გლეხები განთავისუფლდნენ მიწის ექსპლუატატორებისა და სპეკულანტებისაგან: დიდი გამოსასყიდი გადასახდელებისაგან. რეაქციული ხროვის მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლდა მშრომელი ინტელიგენცია.

შემდეგ ამხ. ლაურისტინი ლაპარაკობს ესტონეთის კომუნისტური პარტიის წამყვან როლზე ესტონელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი დღითი-დღე იზრდება. კომპარტია ხელმძღვანელობდა ხალხის ბრძოლას განთავისუფლებისათვის და მან იგი გამარჯვებამდე მიიყვანა. იგი უნდა ხელმძღვანელობდეს ხალხის ბრძოლასაც კომუნიზმის გამარჯვებისათვის. პარტია უნდა დაეუფლოს **ლენინ-სტალინის** თეორიას, იგი უნდა იყოს მუშათა კლასის შტაბი, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული მუშათა ყველა ორგანიზაციასთან, უპარტიო მასებთან.

ესტონეთის კომუნისტური პარტია კონსტიტუციის პროექტის მიხედვით წარმოადგენს ერთადერთ პოლიტიკურ პარტიას ჩვენს ქვეყანაში. ჩვენში უკვე აღარ ბატონობენ ხალხისადმი მტრულად განწყობილი კლასები, ამიტომ ჩვენში არ შეიძლება იყოს რამდენიმე პარტიაც. ამხანაგმა სტალინმა სთქვა, რომ სსრ კავშირში არის მხოლოდ ორი კლასი — მუშები და გლეხები, რომელთა ინტერესები არამც თუ მტრული არ არის, არამედ, პირიქით, ერთნაირია. ამიტომ სსრ კავშირში არ არსებობს ნიადაგი რამდენიმე პარტიისათვის. სსრ კავშირში არის ნიადაგი მხოლოდ ერთი პარტიისათვის—კომუნისტური პარტიისათვის, რომელიც თანმიმდევრობით და მტკიცედ იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს. ეს სავსებით შეგვეხება ჩვენც. ჩვენ, ამხანაგებო, დავამყარეთ პროლეტარიატის დიქტატურა და ამან თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს კონსტიტუციაში.

ესტონეთში საბჭოთა წყობილების დამყარებიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა ესტონეთის სს რესპუბლიკის შესვლა სსრ კავშირის შემადგენლობაში.

წინათ ესტონეთის ხალხები ეკონომიურად უცხოეთის კაპიტალზე იყვნენ დამოკიდებულნი. გლეხები დამოკიდებული იყვნენ საზღვარგარეთის ბაზრების კონიუნქტურაზე, ჩვენი სოფლის მეურნეობა ძლიერ დაქვეითდა. ჩვენს მუშას უნდა შეექმნა ზედმეტი ღირებულება უცხოეთისა და „თავისი“ კაპიტალისტებისთვის. ესტონეთის სახელმწიფო ხელისუფლებას კონტაქტი ჰქონდა დამყარებული უცხოელ იმპერიალისტებთან და არა ზრუნავდა მშრომელი ხალხის საარსებო ინტერესებისათვის. ისინი საბოტაჟს უწევდნენ ესტონეთსა და სსრ კავშირს შორის დადებულ ურთიერთდახმარების პაქტს და ომის ქარცეცხლისაკენ უბიძგებდნენ ხალხს. ახლა ჩვენ თვითონ ვსწყვეტთ ჩვენს ბედს. ჩვენ ნებაყოფლობით შევედით მძლავრ საბჭოთა კავშირში, სადაც ყველა ხალხი თავის ცხოვრებას აშენებს თავისუფლად, უჩაგვრელებოდ და უექსპლუატატორებოდ.

ჩვენ წარმოვადგენთ მოკავშირე რესპუბლიკას — დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახში თანასწორთა შორის თანასწორს. ეს ჩვენ გვაკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს და ამოცანებს, რომლებიც ჩვენ საკანონმდებლო წესით უნდა განვამტკიცოთ.

კონსტიტუციაში ასახულ უნდა იქნას ჩვენი რეალობა, ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი, როგორც ეს გაკეთებულია საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა სხვა რესპუბლიკაში.

როგორია რეალური ვითარება ჩვენს ქვეყანაში? ჩვენი მუშათა კლასი განთავისუფლებულია ექსპლუატატორებისაგან, მუშათა კლასი, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია თვითონ მართავენ სახელმწიფოს და იბრძვიან კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ნაციონალიზებული მრეწველობა, ბანკები, ტრანსპორტი უკვე წარმოადგენენ სოციალისტურ სექტორს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მრეწველობის სოციალისტური სექტორი დაახლოებით 90 პროცენტს შეადგენს. ტრანსპორტი ნაციონალიზებულია 100 პროცენტით ისევე, როგორც ბანკები, სადაც მუშაობა უკვე ნორმალურად მიმდინარეობს.

სოფლად სოციალისტური სექტორი, ბუნებრივია, ისე დიდი არ არის, როგორც ქალაქში. თუ მხედველობაში მივიღებთ სახელმწიფო და კომუნალურ მეურნეობებს, მაშინ სოციალისტური სექტორი სოფლად დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს. მაგრამ ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უახლოეს მომავალში სოციალისტური სექტორი თან-გაიყოლიებს მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას.

დეპუტატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხ. ლაურისტინის განცხადებას, რომ ესტონეთი წარმოადგენს მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს.

— განთავისუფლებული ესტონელი ხალხი, — აცხადებს შემდეგ ამხ. ლაურისტინი, — წარმატებით განავითარებს თავის მატერიალურ და სულიერ ძალებს სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ.

ამ სიტყვებს დეპუტატები, ხანგრძლივი ტაშით უპასუხებენ.

შემდეგ დეპუტატმა **კადაკასმა** წაიკითხა ესტონეთის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი.

ამხ. ლაურისტინის მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. გამოვიდა 16 კაცი. თავის გამოსვლებში დეპუტატები **არბონი, ტიხანოვა და აბელსი** აღნიშნავდნენ, რომ კონსტიტუციის მიღება ესტონელი ხალხის ახალი ისტორიული გამარჯვებაა, რომ სტალინური კონსტიტუცია ესტონელი ხალხისათვის უზრუნველჰყოფს შრომის, დასვენების, განათლებისა და მოხუცებულობის დროს უზრუნველყოფის უფლებას, ჰქმნის ყველა პირობას სასიხარულო, თავისუფალი შემოქმედებისათვის.

დეპუტატი **კრუუსი** ამბობს, რომ კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს სოციალისტური დემოკრატიზმის იდეის ნამდვილად გატარებას ცხოვრებაში.

დეპუტატი **იალაკა** აცხადებს:

— ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ვოცნებობდით სტალინურ კონსტიტუციაზე. ახლა დადგა სასიხარულო მომენტი, როდესაც ჩვენი ოცნება განხორციელდა!

თავის სიტყვაში დეპუტატმა **რუუსმა** მოუწოდა ყველა მშრომელს დაუნდობლად იბრძოლონ იმისათვის, რომ გაიწმინდოს სახელმწიფო აპარატი მტრულად და რეაქციულად განწყობილი ელემენტებისაგან.

— დეპუტატები, — ამბობს შემდეგ ამხ. რუუსი, — მოვალენი არიან ახსოვდეთ, რომ ისინი წარმოადგენენ ხალხის მსახურებს, და მთელ თავის სახელმწიფო საქმიანობაში უნდა ცდილობდნენ მიჰბაძონ მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადების — **ლენინისა და სტალინის** მაგალითს.

დეპუტატმა **პილტსმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ წინანდელი მმართველები ხელოვნურად ადიდებდნენ უმუშევრობას, მათ „რუხი ბარონებისათვის“ — კულაკებისათვის პოლონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მოჰყავდათ იაფი მუშა-ხელი, რომ წინათ განათლება და მედიცინა მიუწვდომელი იყო მშრომელთა ფართო მასებისათვის.

შემდეგ გამოვიდნენ დეპუტატები **ანდრეზენი, იოერი, იანსონი, ლიივი, ხინტი, პიასი** და სხვები.

ამით დამთავრდა სახელმწიფო სათათბიროს საღამოს სხდომა.

25 აგვისტოს დილის სხდომა

ტალინი, 25 აგვისტო (საქდესი). დღის სახელმწიფო სათათბიროს დილის სხდომა დაიწყო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ი. ლაურისტინის საბოლოო სიტყვით.

— კამათში გამოსულმა ყველა დეპუტატმა, — ამბობს ამხ. ლაურისტინი, — ერთსულოვნად მოიწონა ესტონეთის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც შემუშავებულია სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. მე იმედი მაქვს, რომ სახელმწიფო სათათბირო დაამტკიცებს კონსტიტუციის წარმოდგენილ პროექტს.

— ამ კონსტიტუციის საფუძველზე, — განაგრძობს ამხ. ლაურისტინი, ფართო შესაძლებლობა შეიქმნება ესტონეთის სს რესპუბლიკის საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების განუწყვეტელი ზრდისათვის, ჩვენი კულტურის, ტექნიკის, ხელოვნებისა და მშრომელი მასების კეთილდღეობის უმაგალითო ამაღლობისათვის.

დეპუტატები მქუხარე ტაშით და „ვაშას“ ძახილით ხვდებიან ამხ. ლაურისტინის საბოლოო სიტყვებს, რომლებიც მიძღვნილია საყვარელი მასწავლებლისა და ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი**. დიდ ხანს არ სცხრება აღფრთოვანებული ოვაცია ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

შემდეგ სახელმწიფო სათათბირომ თავების მიხედვით კენჭი უყარა ესტონეთის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს, რომელიც წარმოდგენილია საკონსტიტუციო კომისიის მიერ.

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბირომ ერთხმად, განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღო შემდეგი დადგენილება:

„ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს სესია ადგენს:

დამტკიცდეს მოკავშირე ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი, რომელიც წარმოდგენილია სახელმწიფო სათათბიროს საკონსტიტუციო კომისიის მიერ“.

ყველა დეპუტატი ერთიანი აღტყინებით ფეხზე დგება. მძლავრი ოვაცია აზანზარებს ესტონეთის პარლამენტის კედლებს. გაისმის შეძახილები:

— გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

— „ვაშა“ ამხანაგ **სტალინს**!

— გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

ოვაცია დიდ ხანს გრძელდება. დეპუტატები დიდი აღფრთოვანებითა და აღტაცებით მღერიან „ინტერნაციონალს“.

მცირე ხნის შესვენების შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს სესია განაგრძობს მუშაობას. სიტყვა ეძლევა დეპუტატ ა. ვეიმერს. თავის სიტყვაში ამხ. ვეიმერი აჯამებს სახელმწიფო სათათბიროს მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებს. იგი ამბობს, რომ ამ მოწვევის სახელმწიფო სათათბირომ შეასრულა მშრომელი ხალხის საუკუნებრივი სურვილი, გამოაცხადა ესტონეთში საბჭოების ხელისუფლება, განახორციელა ესტონეთის შესვლა დიადი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, გამოაცხადა მსხვილი მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაცია, მიწა გახადა საყოველთაო-სახალხო კუთვნილება.

— სახელმწიფო სათათბიროს ამ შემადგენლობის დეპუტატები, — განაგრძობს ამხ. ვეიმერი, — ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები არიან და ამიტომ მიზანშეწონილი არ იქნება დაინიშნოთ ახლა სახელმწიფო ხელისუფლების ახალი უმაღლესი ორგანოების არჩევნები. ამხ. ვეიმერს წინადადება შეაქვს გამოცხადდეს სახელმწიფო სათათბიროს ახლანდელი შემადგენლობა ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროებით უმაღლეს საბჭოდ.

დეპუტატები რუუსი და ტრუსი მხარს უჭერენ ამ წინადადებას და მის დასამატებლად შემოაქვთ წინადადება — მიენდოს დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დანიშნოს ესტონეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე.

სახელმწიფო სათათბიროს სესია მქუხარე ტაშით ერთხმად იღებს შემდეგ დადგენილებას:

„ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს მიერ ახალი კონსტიტუციის დამტკიცების გამო და, იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო სათათბირო არის მთელი ესტონელი ხალხის — მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის ნამდვილი წარმომადგენელი და გამოხატავს ესტონეთის მშრომელი ხალხის ნამდვილ, ჭეშმარიტს ნება-სურვილს, სახელმწიფო სათათბირო ადგენს:

გამოცხადებულ იქნას მოკავშირე ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბირო ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროებით უმაღლეს საბჭოდ [illegible] უფლებითურთ, რაც მას მინიჭებული აქვს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციით (ძირითადი კანონი), ვიდრე არჩეულ არ იქნება მოკავშირე ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ამჟამად მიღებული კონსტიტუციისა და უმაღლესი საბჭოს ახალი საარჩევნო დებულების საფუძველზე.

მიენდოს მოკავშირე ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დააწესოს მოკავშირე ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს მიერ ამჟამად დამტკიცებული კონსტიტუციის საფუძველზე“.

ამით დამთავრდა ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს დილის სხდომა.

ესტონეთის სსრ დროებითი უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

ტალინი, 25 აგვისტო (საქდესი). ესტონეთის სსრ დროებითი უმაღლესი საბჭოს პირველ სხდომას ხსნის უხუცესი დეპუტატი ამხ. ა. იანსონი. თავის მოკლე შესავალ სიტყვაში იგი ამბობს, რომ ახლა იწყება ახალი ხანა ესტონეთის ხალხის ისტორიაში, და დროებითს უმაღლეს საბჭოს უსურვებს წარმატებას მუშაობაში მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოდ.

დეპუტატ ა. ვეიმერის წინადადებით, დროებითი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ დეპუტატ ვ. საასის, თავმჯდომარის მოადგილედ — დეპუტატებს ოლგა ლაურისტინს და მ. იურნას.

შემდეგ დეპუტატ რეის წინადადებით, ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ ამხ. იოჰანეს ვარესს, დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად დეპუტატებს ა. მიუის და ე. კადაკასს, მდივნად — დეპუტატ ვ. ტელინგს, პრეზიდიუმის წევრებად — კ. სიაარუს, გ. არბონს, ა. პაუკს, ნ. ტიხანოვას და ე. ტარკპეას.

შესვენების შემდეგ, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობდა ესტონეთის სსრ დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ი. ვარესს, რომელიც პრეზიდიუმის სახელით წინადადებას იძლევა ესტონეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებული იქნას ამხ. ი. ლაურისტინი და მის მოადგილეებად—ამხ. ო. სეპრე და ამხ. ნ. ანდრეზენი. დეპუტატები ფეხზე ადგომით მიესალმებიან ამხ. ლაურისტინს, სეპრეს და ანდრეზენს. დროებითი უმაღლესი საბჭო ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად ამტკიცებს ამხ. ი. ლაურისტინს, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ—ამხ. ო. სეპრეს, თავმჯდომარის მეორე მოადგილედ — ამხ. ნ. ანდრეზენს. დეპუტატ ლ. ილისონის წინადადებით, დროებითი უმაღლესი საბჭო ავალებს ესტონეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლაურისტინს შექმნას მთავრობა და მისი შემადგენლობის შესახებ წინადადება შემოიტანოს სესიის სხდომაზე.

19 საათსა და 30 წუთზე იწყება საღამოს სხდომა. სიტყვას ამბობს ესტონეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ლაურისტინი, რომელსაც დეპუტატები გულთბილად ხვდებიან. იგი უღრმეს მადლობას უძღვნის სესიას მაღალი პატივისა და ნდობისათვის და სიტყვას აძლევს მას, რომ თავისი ძალების დაუზოგავად იმუშავებს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ამხ. ლაურისტინს დროებითი უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეაქვს სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ო. სეპრე;
მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ა. ვეიმერი;
ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ი. საუერი;
ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. პ. კეერდო;
მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. გ. აბელსი;
ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. ხ. ალიკი;
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ბ. კუმი;
იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. ა. იოერი;
ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. ვ. ხიონი;
განათლების სახალხო კომისარი ამხ. ნ. ანდრეზენი;
კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი ამხ. ო. კიარმი;
სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ამხ. ლ. ლიიუსი;
შრომის სახალხო კომისარი ამხ. მ. უნტი;
სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი ამხ. ა. უიბო.

დროებითი უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს ამხ. ი. ლაურისტინის მიერ წარმოდგენილ ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობას.

დეპუტატ ამხ. ვ. ტელინგის წინადადებით, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია მთელი დარბაზის მქუხარე ტაშითა და „ვაშას“ შეძახილებით იღებს მისალმებას ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი**.

დიდხანს არ სცხრება ოვაცია ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად. დეპუტატები ფეხზე დგებიან და „ინტერნაციონალს“ მღერიან.

ამით დამთავრდა სესიის სხდომა.

ნავთის შადრევანი ნორიოში

პირველ დღე-ღამის განმავლობაში ჭაბურღილმა მოგვცა 45,8 ტონა წმინდა ნავთი

24 აგვისტოს, დღისით, საქნავთის ტრესტის ნორიოს ნავთ საძიებლის № 7 ნავთსაძიებელმა ჭაბურღილმა 332-333 მეტრ სიღრმეზე ხვრეტილის გაკეთების შემდეგ მნიშვნელოვანი ძალის ნავთის შადრევანი ამოხეთქა. მაშინვე მიღებულ იქნა ზომები, რათა ნავთი მილებით წასულიყო რეზერვუარებში. ეს ამოცანა ნორიოელმა მენავთეებმა ჩინებულად შეასრულეს. რის შედეგადაც ნავთს სრულიად უდანაკარგოდ იღებენ.

ექსპლუატაციის პირველი 24 საათის განმავლობაში ამ ჭაბურღილიდან — 25 აგვისტოს ნაშუადღევის 3,5 საათამდე — რეზერვუარებში მიღებულია 45,8 ტონა ნავთი; საღამოს 7 საათისათვის ჭაბურღილმა უკვე 51,5 ტონა ნავთი მოგვცა.

ყურადღებას იქცევს მიღებული ნავთის ფრიად მაღალი ხარისხი და სიწმინდე, წყალი მას სრულიად არ ურევია. № 7 ჭაბურღილიდან შადრევანი კვლავ ინტენსიურად სცემს.

27-28 აგვისტოს ნავთიანი ჭაბურღილის მომიჯნავე ტერიტორიაზე იწყება № 5 ჭაბურღილის გათხრა. კიდევ 15-20 დღის შემდეგ დაიწყება № 13 ჭაბურღილის გათხრა. ამ სამ ჭაბურღილის მიერ გაკეთებულ სამკუთხედში, როგორც სჩანს, მოიპოვება ნავთის მნიშვნელოვანი ჩაწოლა. რის ოდენობისა და ფარგლების გამორკვევა უახლოეს ხანში მოხერხდება. (საქდესი).

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

„საქჩაის“ 25 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	წლიური გეგმა ტონობით	მოკრეფილია სეზონის დაწყებიდან ტონობით	აგვისტოში მოიკრიფა ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	აგვისტოს გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	1.865	1.466,5	312,3	78,6	70,5
ქობულეთი	8.556	6.346,2	1.303,9	74,2	64,7
გალი	4.017	2.775,7	404,9	69,1	42,5
ოჩამჩირე	2.344	1.579,8	191,3	67,4	34,3
სოხუმი	50	30,5	5,8	61	44,6
გუდაუთი	70	72,7	14,7	103,9	81,7
მახარაძე	11.174	8.599,5	1.860,7	77	70
ჩოხატაური	1.475	1.123,8	202,4	76,2	57
ლანჩხუთი	3.660	2.724,8	504,8	74,4	57,5
სამტრედია	330	218,7	35,6	66,3	45,6
წულუკიძე	1.755	1.261,5	138,8	71,9	33,2
ქუთაისი	190	169,5	21,7	89,2	48,2
წყალტუბო	430	300,3	31,7	69,8	31,1
ტყიბული	620	554,6	100,6	89,5	68
ცხაკაია	1.230	847,6	110,1	68,9	37,3
გეგეჭკორი	3.037	2.151,5	349,4	70,8	47,9
ზუგდიდი	5.908	4.535,8	758,1	76,8	54,2
წალენჯიხა	2.072	1.361,9	206,4	65,7	42
ჩხოროწყუ	1.820	1.238,7	195	68,1	45,1
ხობი	511	360,8	56	70,6	57,4
სულ რესპუბლიკაში	**51.114**	**37.720,4**	**6.804,2**	**73,8**	**55,9**
იყო 1939 წლის 25 აგვისტოს	43.100	35.740,3	7.166	82,9	68,8

აგვისტოს პირველ ხუთდღიურში დამზადდა 626,7 ტონა ჩაის ფოთოლი, მეორეში — 1.762,4 ტონა, მესამეში — 1.600,7 ტონა, მეოთხეში — 1.527,2 ტონა, ხოლო მეხუთეში — 1.287,2 ტონა ჩაის ფოთოლი.

25 აგვისტოსათვის დამზადებული ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 67,8 პროცენტი, მეორე ხარისხისა — 10,4 პროცენტი, მესამისა კი — 21,8 პროცენტი.

ჩაქვის პირველი, წულუკიძის, უშაფათის და აჩიგვარის ჩაის ფაბრიკების ცნობები ცხრილში შეტანილია 20 აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით.

ვამოწმებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის და 10 ივლისის ბრძანებულებების შესრულებას

ჯიუტი გამცდენები, გაჭიანურებული საქმეები და უდარდელი დირექტორი

„გაშვებულ იქნას მორიგ შვებულებაში მონტიორი გ. სააკიანი ა. წ. 8 აგვისტოდან 23 აგვისტომდე და 23 აგვისტოდან გაშვებულ იქნას უჯამაგირო შვებულებაში ოცი დღით, ზ. ჯავახიშვილი განთავისუფლდეს სამუშაოდან ხუთი დღით უჯამაგიროთ პასპორტის საკითხის მოგვარების გამო, მ. ჩატალიანი განთავისუფლდეს სამუშაოდან მისი კოლმეურნეობაში წასვლის გამო, განთავისუფლდეს პ. პოპოვი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გამგზავრების გამო“. და ასე... სათვალავი არა აქვს „საპატიო მიზეზით“ განთავისუფლებულთ.

ეს სტრიქონები უცვლელად ამოწერილია ღრმაღელის აგურის მექანიზებული ქარხნის ბრძანებათა წიგნიდან. ამ ბრძანებებს ხელს აწერს ქარხნის დირექტორი აკ. შაფათავა.

ზოგი იტყვის: ჭარბი მუშა-ხელი ჰყავს ალბათ ქარხანას და დირექტორიც ათავისუფლებს მუშებსო. მართლა ასეა სინამდვილეში?

ქარხანამ აგურის დამზადების ნახევარი წლის გეგმა 81,9 პროცენტით შეასრულა, ივლისში საერთო პროდუქციის 88,6 პროცენტი გამოუშვა, ხოლო აგვისტოს ორი დეკადის გეგმა 56 პროცენტით შეასრულა. ერთი აგრეგატი უმოქმედოდ დგას, საშრობები დაუცლელია და ყველაფერი ეს მუშა-ხელის ნაკლებობით აიხსნება.

ასეთ პირობებში გასაოცარია ამხ. შაფათავას საქციელი—იგი თავისი ნება-სურვილით ათავისუფლებს მუშებს წარმოებიდან, აძლევს მათ უხელფასო შვებულებას. ხომ არ ფიქრობს ამხ. შაფათავა, რომ ამით ანხორციელებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებას? რა შეიძლება ეწოდოს ამას, თუ არა დირექტორის მავნე თვითნებობა, უპასუხისმგებლობა და დაუდევრობა?

წარმოების დეზორგანიზატორმა რ. ხუბაშვილმა 20 ივლისს მიატოვა სამუშაო, გულკეთილმა დირექტორმა იგი პასუხისგებაში არ მისცა, ხუბაშვილმაც იხეტიალა აქეთ-იქით და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დაბრუნდა ქარხანაში. ცოტა წაიმუშავა და დასწერა განცხადება: კოლმეურნეობაში წასვლის გამო გამათავისუფლეთ სამუშაოდანო... დირექტორმაც ხათრი არ გაუტეხა ხუბაშვილს, არც აცივა, არც აცხელა და განცხადებას დაადო რეზოლუცია: „განთავისუფლდეს 9 აგვისტოდან“. უფრო გასაკვირველი ის არის, რომ რ. ხუბაშვილი ახლაც უსაქმოდ დასეირნობს ნაძალადევში. ასეთი ფაქტი კი ერთი და ორი როდია. სამუშაოს გამცდენის მუშა გ. გუდურაშვილის საქმე 28 ივლისს გადაეცა სასამართლოს. საქმე გარჩეულიც არ იყო, რომ 14 აგვისტოს მან სულ მიატოვა სამუშაო. დირექტორს დღესაც არ გახსენებია სამუშაოს თვითნებურად მიმტოვებელი გუდურაშვილის სამართალში მიცემა.

ო. სილენკომ 12 აგვისტოს სამუშაო მიატოვა და სადღაც გაიქცა. უპასუხისმგებლო აღმრიცხველმა ეს ამბავი უდარდელ დირექტორს მხოლოდ 21 აგვისტოს აცნობა. საქმის ძიება კი დღესაც არ არის აღძრული.

აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ლენინის სახელობის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს მოუქნელ მუშაობას. აქ შრომის დეზორგანიზატორებზე აღძრული საქმეების გარჩევას თითქმის ერთი თვე აგვიანდება ხოლმე. აგურის მექანიზებული ქარხნის 11 დეზორგანიზატორიდან მხოლოდ ორის საქმე გაარჩიეს, დანარჩენთა დასჯა კი ჭიანურდება.

სურათი სრული არ იქნება, თუ არაფერი ვთქვით ქარხნის პარტორგანიზაციის მუშაობაზე, იმაზე, თუ როგორ ანხორციელებს იგი კონტროლს 26 ივნისის ბრძანებულების გატარებაზე. აქ არ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა იყოს. უდავოა, რომ ქარხნის პარტორგანიზაციას ეს საქმე დაავიწყდა. პარტბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. სოლოღაშვილი გეტყვით ზოგ დეზორგანიზატორზე — გამცდენსა და დამგვიანებლებზე იმდენად, რამდენადაც ის თვითონ არის აღმრიცხველი. მაგრამ თუ რა კეთდება ან ფუჭდება ამის შემდეგ, ეს უკვე აღარ იცის.

მუშა გ. ტოპეშაშვილმა 19 ივლისს სამუშაო თვითნებურად მიატოვა, „რად მინდა მუშაობა, სოფელში უნდა წავიდეო“. როგორც ამბობენ ტოპეშაშვილი ახლაც თბილისშია. კითხვაზე, პასუხისგებაში მისცეს თუ არა იგი, ამხ. სოლოღაშვილმა გვითხრა:—ეს კი აღარ ვიცი, ამაზე დირექტორი გეტყვის, იმას შენ გაუწიე კონტროლიო.

ამხ. სოლოღაშვილი მოვალეა იცოდეს, რომ სწორედ პარტორგანიზაცია უნდა უწევდეს კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობას, მით უმეტეს ახლა, როცა საქმე ეხება 26 ივნისის ბრძანებულების განუხრელად შესრულებას.

პარტბიუროს წევრი, შოფერი დ. კეკელია სამუშაოდან გაათავისუფლეს, რადგან თითქოს ავად იყო და არ შეეძლო მანქანაზე მუშაობა. ახლა დ. კეკელია სხვაგან მუშაობს შოფრად. პარტორგანიზაცია ამაზე ზომებს არ ღებულობს. კეკელიამ რომ რაღაც „პოლიტიკა“ იხმარა, ეს ფაქტია, მაგრამ რა ვუყოთო — გულუბრყვილოდ და უპასუხისმგებლოდ აცხადებს ამხ. სოლოღაშვილი.

აქ ჯერ ვერ მოიცალეს პარტიულ კრებაზე განეხილათ 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების საკითხი. მხოლოდ 31 ივლისს, როდესაც მოისმინეს მოხსენება 6 თვის გეგმის შესრულების შედეგებზე და დასახეს ღონისძიებები, შრომის დისციპლინაზე ასეთი წყალ-წყალა მუხლი შეიტანეს: „სამუშაო დღის შემჭიდროება ჯერ კიდევ არ არის დაყენებული თავის სიმაღლეზე. ამისათვის გაძლიერდეს ხელმძღვანელობა საამქროს უფროსების და ცვლის ინჟინრების მიერ, რათა მოხდეს სამუშაო დღის სრული და ნორმალური დატვირთვა“. ეს იყო და ეს. ამით დაამთავრეს ყველაფერი.

უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ აგურის მექანიზებულ ქარხანაში ყველაფერი რიგზე არ არის. ქარხანაში არ არის ჯანსაღი ატმოსფერო. ქარხნის დირექტორი ცოტას ფიქრობს ქარხნის ნორმალურ მუშაობაზე. პარტორგანიზაციის კონტროლი ძალიან მოისუსტებს.

საქ. კ. პ. (ბ) ლენინის სახელობის რაიკომმა და საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა საშენ მასალათა მრეწველობის მთავარმა სამმართველომ საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ქარხნის მუშაობა და სათანადოდ დასაჯონ ქარხნის თვითნება და უდარდელი ხელმძღვანელები.

პ. ჭიოკაძე

კომუნისტებისა და კომკავშირელების დასჯას გაურბიან

(ქუთაისი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მექანიკოსმა ბიქტორ ბალავაძემ 6 ივლისს ერთი საათით დააგვიანა სამსახურში გამოცხადება.

ფაბრიკის მუშა - მოსამსახურეთა ძირითად მასას ეს ფაქტი ეუცხოვა.

— კომუნისტს არ აპატიებენ ასეთ მოქმედებას, მას მკაცრად დასჯიანო, — ამბობდნენ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი.

ფაბრიკის პარტბიუროში კი ასეთ აზრს რატომღაც არ იზიარებდნენ. იქ სულ სხვა კითხვა წამოიჭრა:

— ჩაითვლება თუ არა ამხ. ბალავაძე წარმოების დეზორგანიზატორად?

და იქვე უპასუხებდნენ:

— არა, მას ხომ შეგნებულად არ დაუგვიანია სამუშაოზე?

15 ივლისს გამცდენი ბ. ბალავაძე ქუთაისის მესამე უბნის სახალხო სასამართლოს წინაშე წარსდგა. მას 5 თვის იძულებითი მუშაობა მიესაჯა ხელფასიდან 20 პროცენტის დაკავებით.

ყველა მოელოდა, რომ კომუნისტ-გამცდენის საკითხს ამის შემდეგ მაინც გახდიდნენ მსჯელობის საგნად ფაბრიკის პარტბიუროში, მაგრამ ასე არ მოხდა. პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ამხ. ი. ბეშკენაძემ ეს საჭიროდ არ მიიჩნია.

20 ივლისს საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომი პარტბიუროს სახელზე ასეთი შინაარსის მიმართვას გზავნის: „ამასთან ერთად გიგზავნით სახალხო სასამართლოს განაჩენს პარტწევრ ბ. ბ. ბალავაძის შესახებ. გავალებთ განიხილოთ მისი საკითხი პარტიულ ორგანიზაციაში, რის შემდეგ თქვენი დადგენილება და მასალები გამოუგზავნეთ ქალაქკომს“.

23 ივლისს სამუშაოზე დაბრუნდა პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. რობაქიძე. იგი მხოლოდ გაეცნო ქალაქკომის აღნიშნულ მიმართვას, პრაქტიკული ნაბიჯი კი არ გადაუდგამს, არ დაუყენებია საკითხი პარტორგანიზაციის წინაშე. ამჟამად კომუნისტი ბ. ბალავაძე ერთთვიან შვებულებაშია და წაღვერში ისვენებს, ამ მიზეზით მის საკითხს ვერ ვიხილავთო, — იმართლებენ თავს პარტბიუროს ხელმძღვანელები. სად იყვნენ ივლისში?

პარტბიურო დღემდე მთელი სერიოზულობით არ ანხორციელებს კონტროლს შრომის ახალი კანონის გატარების საქმეზე. ეს იქიდანაც სჩანს, რომ 26 ივნისის ბრძანებულების გატარების საკითხი პარტორგანიზაციის კრებაზე პირველად მხოლოდ 15 აგვისტოს დაისვა და ისიც საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მე-4 პლენუმის მითითების შემდეგ. კრებამ იმსჯელა კომუნისტებზე, რომლებმაც დაარღვიეს შრომის დისციპლინა, სასჯელი კი არცერთ მათგანს არ გამოუტანა.

ფაბრიკის კომკავშირული კომიტეტიც გულჩვილ დამოკიდებულებას იჩენს შრომის დეზორგანიზატორ კომკავშირელებისადმი. 1 აგვისტოს კომკავშირულმა კომიტეტმა მოისმინა კომიტეტის მდივნის ამხ. ბასილაძის მოხსენება 26 ივნისის ბრძანებულების გატარებისა და მასში კომკავშირელთა მონაწილეობის შესახებ. ამ საკითხზე მიღებულ კარგა მოზრდილ დადგენილებაში ზოგადი მსჯელობის გარდა ვერაფერს ნახავთ. იგი არავის ავალებს რასმე, ხოლო კომკავშირელ ლუბა ბობოხიძეს, რომელიც სამუშაოზე ზედიზედ სამჯერ დაგვიანებისათვის პასუხისგებაში მისცეს, კომიტეტმა უკანასკნელი გაფრთხილება აქმარა. დანარჩენებს კი (ფურცხვანიძეს, ცქიტიშვილს და სხვ.) — საყვედური. დადგენილებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი კომკავშირელ გუგული კილაძის შესახებ, რომელმაც 17 ივლისს სამუშაო გააცდინა. ამხ. ბასილაძე სასამართლოს განაჩენს უცდის, ვნახოთ, სასამართლო რას მიუსჯისო.

13 აგვისტოს იმავე კომკავშირელმა გუგული კილაძემ კომკავშირის სახელგამტეხი საქციელი—ქურდობა ჩაიდინა; მუშაობის დამთავრების შემდეგ, ფაბრიკიდან 1 ცალი შარვალი გაიტანა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ფაბრიკის კომკავშირულ კომიტეტს არც ამის შემდეგ განუხილავს კომკავშირიდან კილაძის გარიცხვის საკითხი.

როდემდის უნდათ განაგრძონ ასე მუშაობა ფაბრიკის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს?

გ. ყურაშვილი

საზამთროები, პამიდორი და გაცდენილი საათები

ამბავი დაიწყო სრულიად უბრალოდ. 24 აგვისტოს, 5 საათი რომ შესრულდა, რედაქციის ტელეფონმა დარეკა. გვატყობინებდნენ: თბილისის საბჭოს წყალსადენის ტრესტში საზამთროები და პამიდორი მოიტანეს, თანამშრომლები მას სამუშაო საათებში ინაწილებენო.

საინტერესო სიგნალი იყო. გადავწყვიტეთ ამ ფაქტის ადგილზე შემოწმება.

5 საათსა და 35 წუთზე აღნიშნულ დაწესებულებაში ვიყავით. თანამშრომლების ნაწილი უკვე წასულიყო, ზოგნი კი პამიდორითა და საზამთროებით დატვირთულნი სტოვებდნენ სამუშაოს...

ოთახები დავათვალიერეთ. მაგიდები და იატაკი სავსე იყო საზამთროების ნაჭრებით, პამიდორის ნარჩენებით. ეტყობოდა დიდი „ოპერაციები“ იყო აქ ჩატარებული. მერე რა მოხდაო — სთქვეს იქ გულდამშვიდებით.

მათი აზრით ასეთი „ჰიგიენა“ ნორმალურია საბჭოთა დაწესებულებისათვის. აი, როგორ ესმით თურმე მათ საბჭოთა დაწესებულების კულტურა!

მაგრამ საქმის არსებითს მხარეს ნუ ავცდებით. ვილაპარაკოთ იმაზე თუ როგორ „იყენებენ“ აქ სამუშაო დროს, როგორ არის „დატვირთული“ სამუშაო დღის ყოველი წუთი.

24 აგვისტოს, ტრესტის თანამშრომელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჯერ 12 საათი არც კი შესრულებულიყო და მანქანა № 6597 დატვირთული მოადგა ტრესტის შენობას. ნატახტარის მეურნეობიდან საზამთროები და პამიდორი მოიტანეს. იგი თანამშრომლებისათვის უნდა გაენაწილებინათ.

თანამშრომლებზე ზრუნვა, თანამშრომელთა პატივისცემა მისასალმებელი მოვლენაა. ამას სადავოდ არავინ გახდის, მაგრამ სამწუხარო და ყოვლად გაუმართლებელი ისაა, რომ საზამთროებისა და პამიდორის დარიგება სამუშაო საათებში (4 საათიდან) დაიწყეს. 200 კილოგრამი საზამთროს და 80 კილოგრამი პამიდორის გაცემა რამდენიმე საათს გაგრძელდა. თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა (აქ სულ 45 კაცი მუშაობს) მოცდა, სამუშაო დრო გაიფლანგა.

ყველაზე მოუთმენელი და აღმაშფოთებელი ისაა, რომ ამ ამბავს თვით ტრესტის მმართველი ამხ. ი. გელეიშვილი და პარტბიუროს მდივანი ამხ. მ. ღლონტი სრულიად გულდამშვიდებით უყურებდნენ. ამბობენ, მათი „ჩარევა“ იმით განისაზღვრა, რომ გულდასმით აირჩიეს სახლში წასაღები საზამთროებიო.

ზოგი ამხანაგი თვალებს გვიხვევდა და გვიმტკიცებდა, რომ ყველაფერი ეს 5 საათისა და 30 წუთის შემდეგ მოხდაო. მაგრამ როგორ! ვიმეორებთ, ჩვენ ადგილზე 5 საათსა და 35 წუთზე ვიყავით და მთელი „ოპერაციები“ უკვე დამთავრებული იყო. გამოდის, რომ 5 წუთში მოხდა ყველაფერი ეს. დაუჯერებელი ამბავია, მტკნარი სიცრუეა! უბრალო არითმეტიკული ანგარიში საფუძველს აცლის, სასაცილოდ ხდის ამ მტკიცებას.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ამხანაგებმა არ იციან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება და, თუ იციან, კითხვა იბადება: რატომ არღვევენ შრომის დისციპლინას, რატომ ფლანგავენ სამუშაო დროს?

ვფიქრობთ, რომ ამ ამბით დაინტერესდება რაიპროკურორი და სათანადოდ დასჯის სამუშაო დროის მფლანგველებს.

მ. საკარული
ჟ. აბრამია

გამცდენი კომუნისტები და კომკავშირელები დაუსჯელი დადიან

(ლანჩხუთი, ტელეფონით „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

სამუშაო დღე დაიწყო. ლანჩხუთის მტს-ის ტრაქტორისტები გაცხოველებით მუშაობენ, რათა რაც შეიძლება ადრე დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი და მოსავლის აღებას მომზადებული შეხვდნენ. კომუნისტი დავით ორაგველიძე კი არ სჩანს. მთელი დღე გავიდა, მაგრამ იგი სამუშაოზე არ გამოცხადებულა. მტს-ის დირექციამ ორაგველიძე, როგორც გამცდენი, გადასცა სახალხო სასამართლოს. სასამართლომ მას ორი თვით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვით. მოსალოდნელი იყო, რომ პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. აფხაიძე ამ საკითხს სათანადოდ გამოეხმაურებოდა, შრომის დეზორგანიზატორ ორაგველიძის საკითხს კომუნისტების კრებაზე დასვამდა. მაგრამ პარტორგანიზაციაში დღემდე სდუმან.

სამუშაო საათების დაწყების შემდეგ მომხმარებლები უცდიან ქალაქის კოოპერატივის სავაჭროს გამყიდველს, კომკავშირელ მოსე კუკულაძეს, მაგრამ იგი არსად სჩანს. როგორც იქნა, საათნახევრით დაგვიანების შემდეგ მოვიდა. გამცდენის საქმე სასამართლოს გადასცეს. სასამართლომ მას 2 თვით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა. კომკავშირის კომიტეტის მდივანს ა. სარჯველაძეს როცა შევეკითხეთ, განიხილა თუ არა კუკულაძის საქმე, მან გულუბრყვილოდ განაცხადა, რა ვქნა ახლა, რომ კრება მქონდა, არ მოვიდა, მომავალ კრებაზე მის საკითხს უეჭველად განვიხილავო, სად წავა მაინც ჩვენს ხელშიაო. ასევე გააცდინეს სამუშაო სუფსის ნავთსაძიებელი უბნის კომკავშირელებმა ა. შენგელიამ, ვ. იუიცამ, მოსე გოგვაძემ. სასამართლომ მათ 2 თვით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა, კომკავშირის კომიტეტს კი მათზე არ უმსჯელნია.

ვ. მექვაბიშვილი

თბილისის 26 კომუნარის სახ. ქარხნის სტახანოველები ი. ძაძუა (მარცხნივ) და ა. საფაროვი.
ფოტო ვლ. გინზბურგისა

ა. ხუციშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი

შრომის მტკიცე დისციპლინისათვის კოლმეურნეობებში

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობა სწრაფად იზრდება და მტკიცდება. კოლმეურნეობებში ყოველდღიურად იზრდებიან და მრავლდებიან მაღალი საკოლმეურნეო მოსავლის ოსტატები, რომლებიც ყოველწლიურად ადიდებენ საზოგადოებრივი მეურნეობის მოსავალსა და შემოსავალს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდებისა და „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილების განუხრელად გატარების შედეგად კოლმეურნეობები კიდევ უფრო განმტკიცდნენ მეურნეობრივ-ორგანიზაციულად. ყველა ამას ნათლად მოწმობს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

შრომის მოწესრიგებით და კოლმეურნეთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცებით ქარელის რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ საგრძნობ წარმატებებს მიაღწია სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულების საქმეში.

ქარელის რაიონის კოლმეურნეობათა შორის მოწინავეთა რიგებშია სოფ. ჭანდრების კოლმეურნეობა „წითელი სხივი“ (თავმჯდომარე — შ. კოპაძე). ამხ. კოპაძე ამ კოლმეურნეობაში 10 წელზე მეტია გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობს. იგი კარგად იცნობს თითეულ კოლმეურნეს, რაც ხელს უწყობს საკოლმეურნეო სამუშაოებზე მათს განაწილებას უნარისა და ცოდნის მიხედვით. კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა შრომის მოწესრიგებას. აქ თითეულ ბრიგადაში 40-მდე მუშა-ხელია, ხოლო რგოლში 7-8 მუშა-ხელი. ცალკეულ ბრიგადებსა და რგოლებზე მიმაგრებულია როგორც კოლმეურნეობის სათესი ფართობი, ისე გამწევი ძალა და მანქანა-იარაღები. თავმჯდომარე პირადად ამოწმებს ბრიგადებისა და რგოლების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხს და იბარებს მას აქტებით. საკოლმეურნეო ბრიგადებსა, რგოლებსა და კოლმეურნეებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრების მიმდინარეობის შედეგებს პერიოდულად ამოწმებს კოლმეურნეობის გამგეობა და აცნობს კოლმეურნეთა საერთო კრებას. თვით კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია კასპის რაიონის სოფ. ნოსტეს კოლმეურნეობასთან.

ყველა ამის შედეგად ჭანდრების კოლმეურნეობამ 1939 და 1940 წლებში მოიპოვა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილის საპატიო უფლება. გარდა ამისა, იგი შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მიღებისათვის მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ 1939 წელს დაჯილდოებულ იქნა მეორე ხარისხის დიპლომით, 5 ათასი მანეთით და მოტოციკლით. ახლა ჭანდრელი კოლმეურნენი დიდი ენტუზიაზმით ემზადებიან 1941 წ. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

შრომა კარგად არის მოწყობილი სოფ. ყინწვისის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — კ. ბერაძე). აქ კოლმეურნეები ყველანი ერთსულოვნად იბრძვიან შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. კოლმეურნეობის მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი — გ. კაბისაშვილი) კოლმეურნეობაში მუშაობის სტახანოვური მეთოდის ფართოდ დანერგვით მიმდინარე წელს საშუალოდ ჰექტარზე 17 ცენტნერი მარცვლეული მიიღო. წელსაც აღნიშნულ ბრიგადაზე მიმაგრებული შაქრის ჭარხლის ნაკვეთი კარგად არის დამუშავებული და უხვ მოსავალს გვპირდება.

ასევე კარგად მუშაობენ სოფ. ზემო-ხვედურეთის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“, ტახტის-ძირის კოლმეურნეობა „პირველი მაისი“ და სხვ.

მაგრამ რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ასეთი მდგომარეობა როდია. ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა, ბრიგადებსა და რგოლებზე მიმაგრებული არ არის ფართობები და საწარმოო საშუალებანი. კოლმეურნეთა შორის დაბალია შრომის დისციპლინა. არ ხდება ბრიგადების, რგოლებისა და ცალკეულ კოლმეურნეთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვა და მისი ხარისხის შემოწმება, რაც საგრძნობლად ამცირებს მიცემულ სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას. აქ გამგეობის მიერ არც ბრიგადების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მიღება ხდება. კოლმეურნეობები არ მუშაობენ დღის განმავლობაში მთელი დატვირთვით, დილით მხოლოდ 9-10 საათზე გამოდიან სამუშაოზე და საღამოს ადრე ანებებენ თავს (სოფ. ჯაგარაანთ-კარის კოლმეურნეობა „წინ ნაბიჯი“, კოდატყეს კოლმეურნეობა „პირველი მაისი“, კოდავარდის კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედი“, ორბოძალის კოლმეურნეობა „გლეხის ოჯახი“).

საჭიროა კოლმეურნეობებში ბრიგადები და რგოლები დაკომპლექტდეს იმგვარად, რომ თითეულ ბრიგადაში იყოს არა უმეტეს 25-30 და რგოლებში არა უმეტეს 8-10 მუშა-ხელისა. ბრიგადებსა და რგოლებზე მიმაგრებულ უნდა იქნას კოლმეურნეობის მთელი სათესი ფართობი, გამწევი ძალა და მანქანა-იარაღები. [illegible] პერიოდულად უნდა ამოწმებდეს კოლმეურნეობის გამგეობა და აძლევდეს მითითებებს შემდგომი მუშაობისათვის. დილით მუშაობის დაწყების წინ უნდა ტარდებოდეს 10-15-წუთიანი საუბრები ცალკეულ ბრიგადებსა, რგოლებსა და კოლმეურნეებზე დღიურ დავალებათა მიცემისათვის. ასეთივე საუბარი საჭიროა მოეწყოს საღამოსაც, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, მიცემულ დღიურ დავალებათა შესრულების შესაჯამებლად.

კოლმეურნეთა შორის მასობრივი პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლით უნდა განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა და მივაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეები დანიშნულ დროზე ორგანიზებულად გავიდნენ სამუშაოზე და მუშაობდნენ მთელი დატვირთვით.

კოლმეურნეთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების ახალ-ახალ შესაძლებლობებს იძლევა. ამავე დროს გამომუშავების არსებული ნორმები მოძველებულია. საჭიროა მათი გადასინჯვა და პერიოდულად დაზუსტება. უნდა მოწესრიგდეს კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეების აღრიცხვა და შრომის წიგნაკებში მისი ჩაწერა ყოველ ხუთ დღეში ერთხელ.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში დაუშვებლად გაიზარდა ფიზიკური სამუშაოსაგან განთავისუფლებულთა რიცხვი, რაც შრომადღეების უსაფუძვლოდ გაზრდას იწვევს და ზარალს აყენებს კოლმეურნეობას. მაგალითად, სოფ. დირბის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ფიზიკური სამუშაოსაგან განთავისუფლებულია 31 ამხანაგი. ქარელის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობაში ფიზიკურ სამუშაოსაგან განთავისუფლებულია 25 ამხანაგი. სოფ. რუისის წინა-უბნის კოლმეურნეობაში 390 მუშა-ხელიდან ფიზიკურ სამუშაოსაგან განთავისუფლებულთა რიცხვი 28-ს უდრის.

საჭიროა კოლმეურნეობაში განთავისუფლებულ მომუშავეთა რიცხვი განისაზღვროს კოლმეურნეობის სიდიდის, შემოსავლიანობისა და შეძლებულობის მიხედვით. უნდა გადაისინჯოს კოლმეურნეობებში თვითნებურად დაწესებული თანამდებობანი და მოხდეს მათი დაყვანა შესაძლებელ მინიმუმამდე, რათა ადგილი არ ექნეს შრომადღეების გადახარჯვას.

ზოგან ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დარღვევის ფაქტებს იმ მხრივაც, რომ არასერიოზულად ეკიდებიან კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის საქმეს და ხშირად სრულიად შეუმოწმებლად, მცირე დანაშაულისათვისაც კი, ხელაღებით, საკოლმეურნეო წესდებით გათვალისწინებულ აღმზრდელობით ღონისძიებათა გამოუყენებლად რიცხავენ კოლმეურნეობიდან. ამგვარად, მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან პირველ ივლისამდე ქარელის რაიონის კოლმეურნეობებიდან გარიცხულ იქნა 45 კაცი, აქედან რაისაბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მხოლოდ 21 კაცის გარიცხვა.

სოფ. ქვემო-ხვედურეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობიდან მიმდინარე წელს ხელაღებით გარიცხეს 19 კაცი. კოლმეურნეთა გარიცხვით გატაცებულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. მასურაშვილმა რაისაბჭოს აღმასკომს ისე წარუდგინა კოლმეურნე ქალის ელბაქიძის გარიცხვის მასალები, რომ საკითხი წინასწარ კოლმეურნეობის საერთო კრებას არ განუხილავს.

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიონის პარტიული აქტივის კრებამ მიმდინარე წლის 12 აგვისტოს განიხილა რაიონის კოლმეურნეობებში შრომის მოწესრიგებისა და კოლმეურნეთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხი. აღნიშნულ კრებაზე მკაცრად გაკრიტიკებულ იქნა რაიმიწგანი, აგრეთვე ქარელისა და აგარის მტს-ები, რომლებიც მეტად სუსტად ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებში შრომის მოწესრიგებას. პარტიულმა აქტივმა დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობებში არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსასწორებლად.

ახლა რაიონის პარტიული, კომკავშირული და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა მთელი ძალღონით დაეხმარონ კოლმეურნეობებს შრომის მოწესრიგებასა და კოლმეურნეთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა და ცალკეულ კოლმეურნეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლაში, შრომის ნაყოფიერების შემდგომ გაზრდაში. ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესები.

„სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღებისა და დამზადების შესახებ“ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება, რომელიც შეიცავს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავების საბრძოლო პროგრამას, პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკების ყურადღებას მიაქცევს სამუშაო დროის მთლიანად გამოყენებაზე, კოლმეურნეობებსა, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის მტკიცე დისციპლინის დამყარებაზე. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის სტალინური გადაწყვეტილებანი ბოლშევიკური შეუპოვრობით უნდა განვახორციელოთ, რაც უზრუნველჰყოფს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის კიდევ უფრო მეტ ზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საომარი მოქმედება ევროპასა და აფრიკაში

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 25 აგვისტო (საკდესი). გერმანიის სარდლობა გადმოგვცემს შემდეგ ცნობას: „გუშინ ჩვენმა ავიაციამ მტრის ბევრი ყაზარმა, ანგარები, სახელოსნოები და საწყობები დაანგრია პორტსმუტსა, გრეიტ-იარმუტსა და სხვა რაიონებში.

სერიოზულად დაზიანდნენ ბრისტოლის სანავსადგურო ნაგებობანი. ტემზ-ჰავენში ხანძარი გაჩნდა და დიდი ნავთსაცავები აფეთქდა. მნიშვნელოვანი ზარალი მივაყენეთ საავიაციო ქარხნებს დერბში, ბირმინჰემში, კინგსტონსა და როჩესტერში.

24 აგვისტოს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავები დაფრინავდნენ გერმანიის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში. მათ ყუმბარები ჩამოჰყარეს სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის ორი ქალაქის უბნებში. ერთ ქალაქში მრავალი შენობა დაზიანდა.

გუშინ მტერმა 64 თვითმფრინავი დაჰკარგა. ჩვენი 20 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი და სავაჭრო გემი 7.000 ტონა წყალწყვისა“.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 25 აგვისტო (საკდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება: „გუშინ გერმანიის 50-ზე მეტმა ყუმბარმშენმა ავიაგამანადგურებლების თანხლებით რამდენიმე პუნქტში დიდ სიმაღლეზე გადაუარა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს.

23 აგვისტოს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ვილაკუბლემორანის დიდ სამხედრო საჰაერო ბაზას პარიზის მახლობლად, რამდენიმე აეროდრომს ბრეტანსა და საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში. ყუმბარის დაშენის შედეგად ნორმანდიაში გაჩნდა მრავალი დიდი ხანძარი ლიზიესა და კენის აეროდრომებზე.

გუშინ, საღამოს, მტრის თვითმფრინავებმა კვლავ ჩამოჰყარეს ყუმბარები ლონდონის აღმოსავლეთ მიდამოებში. ზიანი უმნიშვნელოა. მტრის თვითმფრინავთა დიდმა შენაერთმა მეორედ მიიტანა იერიში პორტსმუტზე. მთელ რიგ პუნქტებში ხანძარი გაჩნდა. 18 საათისათვის მიღებული ცნობებით, მოსპობილია მტრის 32 თვითმფრინავი.

ლონდონი, 25 აგვისტო (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 24 აგვისტოს, ღამით, მტრის თვითმფრინავთა მნიშვნელოვანმა რიცხვმა ყუმბარები ჩამოჰყარა ინგლისის მთელ რიგ რაიონებში, მათ შორის ლონდონსა და სამხრეთ - უელსში. ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა გერმანიის ერთი თვითმფრინავი.

ლონდონის ერთერთ რაიონში ხანძარი გაჩნდა, რამაც რამდენიმე სავაჭრო შენობა დააზარალა. ქალაქის სხვა რაიონებში დანგრეულია მთელი რიგი საცხოვრებელი სახლები. არსებული ცნობებით, ადამიანთა მსხვერპლი უმნიშვნელოა.

ლონდონი, 24 აგვისტო (საკდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება: „დღეს, დილით, გერმანიის ბატარიებმა, რომლებიც დადგმულია საფრანგეთის სანაპიროზე, ყუმბარები დაუშინეს დუვრის რაიონს. ყუმბარების დაშენამ უმნიშვნელო ზიანი მიაყენა შენობებს. დაჭრილია რამდენიმე კაცი. უფრო გვიან მტერმა იერიში მიიტანა დუვრსა და რამსჰაიტზე ჰაერიდან. დუვრი უმნიშვნელოდ დაზიანდა. რამსჰაიტში დაზიანებულია შენობები, მათ შორის გაზის ქარხანაც. მოკლული და დაჭრილია რამდენიმე კაცი. მტერი თავს დაესხა აგრეთვე მენსტონის სამხედრო აეროდრომს რამსჰაიტის მახლობლად. მნიშვნელოვნად დაზიანდა შენობები, რომლებიც აეროდრომს ეკვრის, საზენიტო ბატარიამ ჩამოაგდო მტრის 10 თვითმფრინავი. ამგვარად, დღეს სულ მოსპობილია გერმანიის 13 თვითმფრინავი, ინგლისის ავიაციამ ერთი თვითმფრინავი დაჰკარგა.

გერმანიის არტილერია უშენს დუვრს

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, გერმანიის სანაპირო არტილერიამ გუშინ მეორედ დაუშინა დუვრს, რომელსაც დიდი ზიანი მიადგა. დაშენა დაიწყო ქალაქში გერმანიის თვითმფრინავების გამოჩენასთან ერთად. ინგლისის ავიაგამანადგურებლები ამაოდ ცდილობდნენ შეეჩერებინათ გერმანიის თვითმფრინავები, რომლებიც ნაწილობრივ შიდა ინგლისში შეიჭრნენ და იქ 200-300 ყუმბარა ჩამოჰყარეს.

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 25 აგვისტო (საკდესი). იტალიის სარდლობა გადმოგვცემს შემდეგ ცნობას: „ერთერთმა ჩვენმა საჰაერო შენაერთმა ყუმბარები დაუშინა ჰალფარის ბაზას მალტის კუნძულზე. ბრძოლის დროს ჩამოგდებულია ინგლისის 4 და იტალიის 1 თვითმფრინავი.

ჩრდილოეთ აფრიკაში ჩვენ იერიში მივიტანეთ მტრის მოტორიზებულ ნაწილებზე სიდი-ბარანსა და კირენაიკის საზღვარს შორის. მოსპობილია 3 ჯავშნოსანი. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

აღმოსავლეთ აფრიკაში ყუმბარები დავუშინეთ ჰარისისა და ვაჟირის (კენია) აეროდრომებს და მტრის განლაგების ადგილებს დაგარივერ პოსტში (ინგლის-ეგვიპტის სუდანი).

წინა ღამით მტრის თვითმფრინავები შვეიცარიის მხრიდან თავს დაესხნენ პიემონტსა და ლომბარდიას. მარიანო კომენსში (მილანის ჩრდილოეთით) მოკლულია ორი კაცი, დაზიანებულია შენობები“.

ბრძოლები აფრიკაში

ლონდონი, 25 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, „ინგლისის მცირე საპატრულო რაზმი თავს დაესხა იტალიელთა ჯგუფს, რომელიც 100 კაცისაგან შესდგებოდა. ეს იტალიელები კაპუცოს ფორტის რაიონში მუშაობდნენ. მოკლულია 10 კაცი, ტყვედ წამოვიყვანეთ 7 კაცი.

იტალიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ მალტას და მცირეოდენი ზარალი მიაყენეს მთავრობის ზოგიერთ შენობას. მსხვერპლი არ არის. ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი, მეორე თვითმფრინავი დაზიანებულია“.

ლონდონი, 24 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოცემულ კომუნიკეში იუწყება: „მტერმა კვლავ დაიკავა კაპუცოს ფორტი, რომელიც განადგურებულია ინგლისის მიერ 17 აგვისტოს ჩატარებული ბომბარდირების შედეგად“.

ლაიპციგის ბაზრობის გახსნა

ბერლინი, 25 აგვისტო (საკდესი). დღეს, დილით, ლაიპციგში გაიხსნა საშემოდგომო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობას იღებს 22 სახელმწიფო. ბაზრობაზე არის საბჭოთა კავშირის, იტალიის, იაპონიის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის, ფინეთის, ირანის, ბრაზილიის, საბერძნეთის, შვეციის, უნგრეთისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების პავილიონები. ამას გარდა, მონაწილეობას იღებს შვეციისა და თურქეთის ზოგიერთი ფირმა.

ლაიპციგის ბაზრობა მოთავსებულია ქალაქის ერთერთ ყველაზე დიდ შენობაში — „რინგ-მესეჰაუსში“. საბჭოთა პავილიონს მთელი სართული უჭირავს. საბჭოთა პავილიონის ექსპონატები განლაგებულია 1.000 კვ. მეტრ ფართობზე. საბჭოთა პავილიონი ყველაზე დიდი პავილიონია ლაიპციგის ბაზრობაზე.

გახსნის შემდეგ პირველსავე საათებში პავილიონი ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. საბჭოთა პავილიონის ექსპონატები დიდ ყურადღებას იპყრობს. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს საბჭოთა სამხატვრო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გამოფენა, კინორეკლამა. დიდი წარმატებით სარგებლობს აგრეთვე „ინტურისტის“ გამოფენა, რომელიც საბჭოთა კავშირის ქალაქების ფოტოსურათებს გვიჩვენებს.

რუზველტის განცხადება სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღების საკითხზე

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო (საკდესი). პრეს-კონფერენციაზე გამოსვლის დროს რუზველტი დაჟინებით მოითხოვდა, რომ კონგრესმა უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მიიღოს კანონპროექტი სავალდებულო სამხედრო ბეგრის შესახებ. მან განაცხადა, რომ კონგრესი უკვე 2 თვეა იხილავს კანონპროექტს და, თუ იგი უახლოეს დროში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, თავდაცვის პროგრამის განხორციელება ერთი წლით გადაიდებაო. რუზველტმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ შემდეგ წლამდე იქნას გადადებული სავალდებულო სამხედრო სწავლების შემოღება. (ამერიკის სენატი იხილავს წინადადებას სამხედრო ბეგრის იმ კანონპროექტის შეცვლის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა დაუყოვნებლივ რეგისტრაციას, მაგრამ სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღების ვადას 1941 წლის 1 იანვრამდე სდებს).

რუზველტის სიტყვით, მთავრობა მთავარ ყურადღებას აქცევს იმას, რომ შეუკვეთოს ახალი იარაღი, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს არმია მიმდინარე წლის შემოდგომაზე და 1941 წლის გაზაფხულზე მიიღებს. მაგრამ, აღნიშნა რუზველტმა, იარაღი უსარგებლო იქნება, თუ ადამიანთა კადრები არ გვეყოლებაო.

რუზველტმა აღნიშნა, რომ ამერიკის არმია და ნაციონალური გვარდია დაახლოებით 400.000 კაცისაგან შესდგება. არმიას განზრახვა აქვს ერთი წლის განმავლობაში თავისი შემადგენლობა 1.200.000 კაცამდე გაადიდოს. რუზველტმა პრესის წარმომადგენლებს წაუკითხა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრის სტიმსონის მემორანდუმი, რომელშიც ეს უკანასკნელი აღნიშნავს, თუ შენარჩუნებულ იქნა არმიაში მოხალისეთა შესვლის ახლანდელი ტემპი, არმიისა და მისი რეზერვების გადიდებას 400 ათასი კაცით ერთი წელიწადი დასჭირდებაო. სტიმსონმა თავის მემორანდუმში აღნიშნა, რომ ამერიკის არმიას მხოლოდ დამხმარე ჯარისათვის ესაჭიროება დამატებით 400.000 კაცი.

ამერიკის არმიის უკანასკნელი მანევრები, განაგრძობს რუზველტი, მოწმობენ, რომ ამ მანევრების ძალიან ბევრ მონაწილეს არ მოეპოვება საჭირო გამობრძმედა. 15 მილი მანძილის გავლის შემდეგ მანევრების ბევრი მონაწილე ძალიან დიდ ფიზიკურ დაღლილობას გრძნობდა და ეს იმ დროს, როდესაც ევროპის ზოგიერთი არმიის ჯარისკაცებს შეუძლიათ დღეში გაიარონ 30 მილი.

იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ დაახლოებით 2 კვირის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა უელესმა მიიწვია იაპონიის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ხორინოუცი. ხორინოუცისთან საუბრის დროს უელესმა დაწვრილებით დაახასიათა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია შორეული აღმოსავლეთის მიმართ და გადასცა მას მიმოხილვა იაპონია - ამერიკის ურთიერთობისა 1937 წლის ივლისიდან მოყოლებული. მიმოხილვაში აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების უფლებათა დარღვევა ჩინეთში. დასასრულ აღნიშნულია, რომ იაპონიის მთავრობის ეს მოქმედება არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს და რომ უნდა დადგეს ანგარიშის გასწორების დრო. როგორც ამტკიცებენ, დოკუმენტი შედგენილია მეტად მწვავე გამოთქმებით და იგი წარმოადგენს ერთერთს ყველაზე ენერგიულ წარდგინებას, რომელიც კი შეერთებულ შტატებს იაპონიისათვის გაუკეთებიათ უკანასკნელი 3 წლის მანძილზე. ამბობენ, რომ ხორინოუციმ ეს დოკუმენტი გაუგზავნა მაცუოკას, რომელსაც მიუხედავად ამისა, ჯერაც არ უპასუხნია და, შეიძლება, სულაც არ უპასუხოს.

სტეფანის სააგენტო უნგრეთ-რუმინეთის მოლაპარაკების შესახებ

რომი, 24 აგვისტო (საკდესი). სტეფანის სააგენტო ტურნუ-სევერინიდან იუწყება, რომ უნგრეთის დელეგაციამ არადამაკმაყოფილებლად სცნო რუმინეთის პასუხი, რომელიც მან უნგრეთის წინადადებაზე მიიღო. ორივე დელეგაციის ხელმძღვანელებმა დაადგინეს შესწყვიტონ მოლაპარაკება.

უნგრეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ჰორი დღეს ბუდაპეშტს მიემგზავრება; უფრო გვიან გაემგზავრება მთელი დელეგაცია.

უნგრეთისა და რუმინეთის დელეგაციების კომუნიკე

ბერლინი, 25 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს უნგრეთისა და რუმინეთის დელეგაციების შემდეგ საერთო კომუნიკეს: „ვინაიდან მოლაპარაკების განსაგრძობად ვერ იქნა ნაპოვნი საერთო ბაზა, უნგრეთის დელეგაციის წარმომადგენლის წინადადებით, ეს მოლაპარაკება შესწყდა. მიუხედავად ამისა, მაინც არის იმის იმედი, რომ მოლაპარაკება მალე კვლავ განახლდება“.

დაიწყო რუმინელთა ევაკუაცია სამხრეთ-დობრუჯიდან

ბუქარესტი, 25 აგვისტო (საკდესი). აქ გამოქვეყნდა შემდეგი კომუნიკე: „კალიაკრისა და დუროსტორის რაიონების მცხოვრებთ ნება დაერთოთ გაიტანონ თავიანთი ქონება გარდა იმისა, რაც საჭიროა მიმდინარე სამუშაოებისათვის. მიღებულია ზომები რათა გაადვილდეს ევაკუაცია იმ შემთხვევისათვის, თუ მომავალში წვიმები დაიწყო და ტრანსპორტის მხრივ სიძნელეები წამოიჭრა“. შემდეგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ „მოსახლეობის გაცვლა დაკავშირებულია განსაზღვრულ ტერიტორიულ დათმობებთან, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ რუმინეთის მოსახლეობამ ნაჩქარევად უნდა დასტოვოს მოსავალი და სახლები. ახლანდელი მოსავალი მისმა პატრონებმა უნდა აიღონ“.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოლაპარაკება

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო (საკდესი). ამერიკის პრესა საერთოდ მოწონებით ეპყრობა რუზველტის მოლაპარაკებას კანადისა და ინგლისის წარმომადგენლებთან, მაგრამ იგი რამდენადმე შეფიქრიანებულია ამ მოლაპარაკების ჯერ კიდევ გამოურკვეველი დეტალების გამო. 21 აგვისტოს ნომერში გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ განაცხადა, რომ ამერიკელები იწონებენ უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას კანადასთან. მაგრამ, — სწერს გაზეთი,—უნდა გვახსოვდეს, რომ კანადა ნაწილია ბრიტანეთის იმპერიისა, რომელიც ომს აწარმოებს და ამიტომ ყოველ შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას შორის შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული სიძნელენი და დიდი პასუხისმგებლობას გვაკისრებს. გაზეთი შეშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ არსებული ცნობებით, რუზველტს განზრახული აქვს შეთანხმება დასდოს კანადასთან სენატისაგან ამ საკითხზე კონსულტაციის მიუღებლად.

კლეპერის სიტყვით, ზოგიერთი ამერიკელი შიშობს, რომ ინგლისში საესკადრო ნაღმოსნების გაგზავნის შესახებ მოლაპარაკებაში იმალება უფრო ფართო ვალდებულებანი. იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლის-ამერიკის ურთიერთობა უფრო მჭიდრო ხდება, — სწერს კლეპერი, —უფრო მეტად არის საჭირო გამოვარკვიოთ მათი საზღვრები. კანადა ოფიციალურად ბრიტანეთის იმპერიის ნაწილად რჩება, მაგრამ „ფაქტიურად კანადა შეერთებული შტატების პროტექტორატის ქვეშ იმყოფება“. კლეპერი გაფრთხილებას იძლევა, რომ ინგლისის ოფიციალური პირების მიერ ამას წინათ გაკეთებულ განცხადებებს, როგორც სჩანს, შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს ინგლისელი ხალხი და აფიქრებინოს ინგლის-ამერიკის კავშირი უკვე დადებულიაო.

ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობებში აღნიშნულია, რომ რუზველტის მრჩევლები ცდილობენ გამონახონ მარჯვე ხერხი იმისათვის, რომ თავდაცვითი შეთანხმება დასდონ კანადასთან, გადასცენ საესკადრო ნაღმოსნები ინგლისს, მიიღონ საიჯაროდ საზღვაო ბაზები და გადასწყვიტონ ინგლის - ამერიკის სხვა საკითხები სენატისაგან კონსულტაციის მიუღებლად, რადგან შიშობენ, რომ კამათი კონგრესში გავლენას მოახდენს წინასაარჩევნო კამპანიაზე და გადასდებს ინგლისისათვის დახმარების გაწევას.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი აჩქარებით უარჰყოფს ცნობებს იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დასთანხმდებიან ოფიციალურ კავშირს ინგლისთან. მიუხედავად ამ უარყოფისა, შეშფოთება გრძელდება. ამერიკელები იწონებენ კანადასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ არა სურთ კავშირის დადება ინგლისთან. გაზეთ „ნიუ-იორკ სენის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ლოურენსი აცხადებს: „ამერიკის მთავრობა, როგორც სჩანს, დასთანხმდება ინგლისის წინადადებაზე საჰაერო ბაზების იჯარით გადაცემის შესახებ, მაგრამ სირთულე იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული ისეთი შეთანხმება, რომელიც ახალ ვალდებულებებს არ დააკისრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს“.

ლოურენსი გაფრთხილებას იძლევა, რომ რუზველტის ცდას უცხო სახელმწიფოსთან კავშირის დადების შესახებ ისე, თუ სენატმა ეს არ მოიწონა, შეუძლია გამოიწვიოს მწვავე პოლიტიკური კონფლიქტი.

ჟურნალ „ნიუ რიპაბლიკის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ რუზველტის მიერ ინგლისში ისეთი სამხედრო მისიის გაგზავნა, რომელიც მაღალ თანამდებობის პირთაგან შესდგება, მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის მჭიდრო თანამშრომლობა მზადდება.

ამერიკის მიერ ინგლისისათვის დახმარების გაწევის საკითხების განხილვისას, ამერიკული გაზეთები გულახდილად უარჰყოფენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეტენზიებს ნეიტრალიტეტის დაცვაზე. გაზეთები აშკარად მსჯელობენ ინგლისისათვის სამხედრო - საზღვაო დახმარების გაწევის სხვადასხვა ფორმებზე, მაგრამ უპირატესობას აძლევენ იმას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოქმედების თავისუფლება დაიტოვონ, ომი არ გამოუცხადონ გერმანიას და ოფიციალურად არ შეუერთდნენ ინგლისს, როგორც მოკავშირე.

21 აგვისტოს წარმომადგენელთა პალატამ 183 ხმის უმეტესობით 144 ხმის წინააღმდეგ მოიწონა, რომ საექსპორტო-საიმპორტო ბანკმა დასავლეთ ნახევარსფეროს სხვადასხვა ქვეყნებს მისცეს 500 მილიონი დოლარი საერთო თანხის სესხი, კერძოდ, პალატამ მოიწონა სესხი მიეცეს კანადას. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატები ემზადებიან დიდი ფინანსიური დახმარება გაუწიონ კანადის თავდაცვითს მრეწველობას, გზებისა და სამხედრო ბაზების მშენებლობას. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი მორგენტაუ „შვებულებაშია“ კანადაში. 21 და 22 აგვისტოს კანადის ფასიანმა ქაღალდებმა მკვეთრად მოიმატეს ფასი ნიუ-იორკის ბირჟაზე.

ამერიკის დიდი გაზეთები მხარს უჭერენ კანადასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას და დაჟინებით მოითხოვენ, რომ რუზველტმა უფრო აქტიური დახმარება გაუწიოს ინგლისს.

რესპუბლიკური პარტიის ორგანო, გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ იწონებს კანადისათვის სესხის მიცემას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი წრე კვლავ ილაშქრებს ამ ღონისძიებათა წინააღმდეგ. დემოკრატი სენატორი უოლში ილაშქრებს სავალდებულო სამხედრო ბეგარის კანონპროექტის მიღებისა და ინგლისისათვის საესკადრო ნაღმოსნების მიყიდვის წინააღმდეგ, აცხადებს რა, რომ ეს იქნებოდა „ომის აქტი“. 21 აგვისტოს ჰერსტმა განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმა ომში, როგორც სჩანს, ძალიან ახლოს არისო“. ჰერსტი ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც სჩანს, ომში ჩაებმებიან ნოემბრის არჩევნებამდე. ჰერსტი იწონებს კანადასთან ურთიერთდახმარების შეთანხმების დადებას, მაგრამ აცხადებს, რომ ეს შეთანხმება შეერთებულ შტატებს იძულებულს გახდის უფრო მეტად დაიცვან კანადა, ვიდრე კანადა დაიცავს ამერიკის შეერთებულ შტატებს, „თუ კი ეს შეთანხმება არ ითვალისწინებს ინგლისის ფლოტის თანამშრომლობას დასავლეთ ნახევარსფეროს დაცვის საქმეში. ამ შემთხვევაში შეერთებული შტატები იქნებიან არა მარტო კანადის, არამედ ბრიტანეთის იმპერიის მოკავშირენიც“.

სამხრეთ - ოსეთის ხელოვნების ჩვენება

გაიხსნა სამხრეთ-ოსეთის სახვითი ხელოვნების გამოფენა

25 აგვისტოს საქართველოს სამხატვრო გალერიაში გაიხსნა სამხრეთ-ოსეთის მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებების გამოფენა. პირველი ოსი მხატვრის კოსტა ხეთაგუროვისა და მხცოვანი მხატვრის მახარბეკ ტუგანოვის ნაწარმოებებთან ერთად გამოფენაზე წარმოდგენილია ახალგაზრდობაც: მხატვრები ი. ტუაევი, ბ. ყორანაშვილი, ტიგიევი, ი. დოგუზოვი, ლ. კოკოევი, მოქანდაკენი ძმები ძანტიევები და სხვები.

საერთო ყურადღებას იპყრობს კოსტა ხეთაგუროვის შესანიშნავი ნახატები: პოპოვის პორტრეტი ტილოზე და ა. პოპოვას პორტრეტი. განსაკუთრებით დიდი ოსტატობითაა შესრულებული პირველი პორტრეტი. დანარჩენი მისი სურათები წარმოდგენილია ასლებში. მიუხედავად იმისა, რომ ასლები სრულქმნილად ვერ გადმოგვცემენ კოსტას ოსტატობას, მაინც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებენ „მთიელი ქალი“ და პეიზაჟები.

მ. ტუგანოვის დიდი ტილოები საინტერესო თემებზეა დაწერილი. „13 კომუნარის დახვრეტა“, „მესისხლეთა შერიგება“. „ზვავებში დამარხულთა ძებნის ადათი“ და სხვები საყურადღებო სურათებია.

განსაკუთრებით საინტერესოა ახალგაზრდების ნაწარმოებები. მართალია ჯერ მათ აკლიათ ოსტატობა, მაგრამ ნიჭი უკვე სჩანს. ახალგაზრდებს ახასიათებს ფერების დიდი შეგრძნობა (ყორანაშვილი, ტუაევი, დოგუზოვი), თემების შერჩევის უნარი. ამ მხრივ აღსანიშნავია ი. ტუაევის ნაწარმოებები. ახალგაზრდა მხატვარი წარმოდგენილია მხოლოდ ესკიზებით. თემატიკა თანამედროვეა გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობა, პირველი მატარებლის შეხვედრა სტალინირში, რკინიგზის მშენებელი მუშა, მეასფალტე და სხვები. ესკიზები გახარებს ორიგინალობით, ფერების ოსტატური შერჩევით, ტიპიზაციით, წერის რეალისტური მანერით. განსაკუთრებით კარგია „პეიზაჟი“. „მუშა“, „რკინიგზის გახსნა“, „რკინიგზის მშენებლობა“.

საყურადღებოა აგრეთვე ქანდაკებები, თუმცა ხელოვნების ეს დარგი ძუნწად არის წარმოდგენილი. აღვნიშნავთ ი. ძანტიევის „დედას“ და „კიროვს“, დ. ძანტიევის ჯგუფს „ყუბადს“.

საინტერესოა ხალხური შემოქმედების ნიმუშები: ჩუქურთმებიანი სვეტები, „კალთჩინი“ (ჩუქურთმებიანი სავარძელი), ხალხური მუსიკალური საკრავები.

საერთოდ, გამოფენა მთლიან წარმოდგენას იძლევა სამხრეთ-ოსეთის სახვითი ხელოვნების ახლანდელი მდგომარეობისა და მისი შემდგომი პერსპექტივების შესახებ. კარგი იქნებოდა, რომ უფრო სრულად იყოს წარმოდგენილი ახალგაზრდობა.

ბ. ნეფარიძე.

ავტომანქანით მოსკოვიდან ქ. გორში

გორი, (საქდესი). ამ რამდენიმე დღის წინათ, მოსკოვიდან, ბელადის სამშობლო ქალაქ გორში „მ—1“ ფირმის საკუთარი ავტომანქანით მთელი ოჯახითურთ ჩამოვიდა სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის უფროსი ინჟინერი ამხ. ლ. ვ. კალუსოვსკი, რომელმაც ყარა-ყუმის ცნობილ ავტოგადარბენაში მონაწილეობისათვის აღნიშნული მანქანა 1933 წელს საჩუქრად მიიღო ამხანაგ სერგო ორჯონიკიძისაგან.

ამხ. კალუსოვსკიმ მთელი ოჯახითურთ უდიდესი ინტერესით დაათვალიერა სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ხალხთა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა.**

ამხ. კალუსოვსკიმ წითელ დედაქალაქიდან ბელადის სამშობლომდე — ქ. გორამდე მანძილი 9 დღეში გაიარა ავტომანქანით.

სასამართლო

თაღლითი „ადვოკატი“

თაღლითობა, მშრომელი მასებისათვის ფულის დატყუება — აი, რა ახასიათებდა გადაგვარებული ადვოკატის ი. ვ. აბაშიძის „მოღვაწეობას“. ის საქართველოს მთელ რიგ რაიონებში სტყუებდა ხალხს ფულს და საქმის გაკეთების ნაცვლად, დაპირებებით ისტუმრებდა მათ.

„ადვოკატი“ ი. აბაშიძე გასტროლიორობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. მას თავისი საკუთარი ბეჭედი და შტამპიც კი ჰქონდა. თანვე დაჰქონდა აბრა წარწერით „ადვოკატი ი. ვ. აბაშიძე“ და აკრავდა სასტუმროს იმ ოთახის კარებზე, სადაც საცხოვრებლად გაჩერდებოდა. დიდხანს ეწეოდა ის ასეთ „მოღვაწეობას“, სანამ მის მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ ბოლო არ მოუღო.

უბრალო განცხადების დაწერაში ი. აბაშიძემ 200 მანეთი გამოართვა საგარეჯოს რაიონის მცხოვრებ ე. ა. გოდერძიშვილს, მანვე 500 მანეთი გამოართვა ნ. ა. აფციაურს და დაჰპირდა, რომ გაანთავისუფლებდა მის დაპატიმრებულ ძმას. ასევე 500 მანეთი დასტყუა ბორჯომის რაიონის მცხოვრებ ა. რ. კუჭუხიძეს, 850 მანეთი—ანა სალარიძეს, 375 მანეთი—ნ. ჩუშკინს (ყარაიას რაიონის მცხოვრები), 500 მანეთი—ნ. გ. მაისურაძეს (ბორჯომი), 1.100 მანეთი—ლამბრიანიძეებს (ბორჯომი), 500 მანეთი—გ. თვამაიშვილს (ბათუმი), 500 მანეთი — ქ. ჟორდანიას (ბათუმი), 598 მანეთი გალოიანს (ბოგდანოვკის რაიონის მცხოვრები) და სხვ.

ეს ის ფაქტებია, რომლებიც ჩვენ ხელთა გვაქვს. ვინ იცის კიდევ რამდენი ასეთი „ნამოღვაწარი“ აქვს „ადვოკატ“ ი. აბაშიძეს. ამ ფაქტებს შემდგომი გამოძიება შეავსებს.

თაღლითი ი. აბაშიძე დაპატიმრებულია და მის საქმეს უახლოეს ხანში საჯაროდ განიხილავს სახალხო სასამართლო.

მ. სურგულაძე

დაიწყო საქართველოს ალპინიადა

(ს. მ. კიროვის მყინვარწვერზე ასვლის 30 წლისთავის აღსანიშნავად)

26 აგვისტოს, დილის 9 საათზე, თბილისიდან სოფ. ყაზბეგში გაემგზავრნენ საქართველოს ალპინიადის მონაწილენი.

ალპინიადაში მონაწილეობას იღებენ სპორტული საზოგადოებანი „სპარტაკი“, „მასწავლებელი“, „მეცნიერება“, „ხელოვნება“ და სხვ.

მთელ რიგ ქალაქებიდან, როგორიცაა ქუთაისი, გორი, სოხუმი, ახალციხე და სხვ., ჩამოსულნი არიან მსურველები ალპინიადაში მონაწილეობის მისაღებად.

ალპინიადის ყველა მონაწილე კარგად გრძნობს თავს და აღფრთოვანებულია მყინვარწვერის დაპყრობის მიზნით.

ვ. ახმეტელი

ფეხბურთი

თბილისის „დინამოს“ გამარჯვება

25 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის დინამოს სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა საჩვენებელი გუნდები.

მოედანზე ორივე გუნდი ძირითადი შემადგენლობით გამოვიდა. შეჯიბრება „დინამოელთა“ სწრაფი და ენერგიული შეტევით დაიწყო. თამაშის პირველ ნახევარში მათ შესძლეს მოწინააღმდეგის კარში ოთხი ბურთის გატანა.

თამაშის მეორე ნახევარში „ლოკომოტიველებმა“ გააუმჯობესეს თამაში, რამდენიმე კრიტიკული მომენტები შექმნეს „დინამოელთა“ საჯარიმო მოედანზე და კიდევაც შესძლეს სამი ბურთის გატანა. თამაშის მეორე ნახევარში დინამოს თავდამსხმელებმა კიდევ გაიტანეს ორი ბურთი და შეჯიბრება დამთავრდა „დინამოს“ გამარჯვებით, ანგარიშით 6:3.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

27 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე შესდგება ყველა რგოლის პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა. პროპაგანდისტთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ.—„სევანელი მეთევზეები“, **ოქტომბერი**—„ელისო“, **დამკვრელი** (ზაფხულის)—„ტრაქტორისტები“, **დამკვრელი** (ზამთრის)—„რუსლანი და ლიუდმილა“, **კომკავშირელი** (ზაფხულის) —„ვოლგა—ვოლგა“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „გაროში“. **სპარტაკი**—„გიქორ“, **ლუქსემბურგის სახ.** — „ჩემი სიყვარული“, **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „გამანადგურებლები“, **26 კომ. სახ.** (ზამთრის)—„კასტუს კალინოვსკი“, **კომინტერნი** — „ზანგეზური“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი**—„პეპო“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება
ა ც ხ ა დ ე ბ ს,
რომ განცხადებების მიღება დაუსწრებელ განყოფილებაზე შემომსვლელთათვის გაგრძელებულია 15 სექტემბრამდე, განცხადებების მიღება სწარმოებს ყოველდღე საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა.
1108 ინსტიტუტის დირექცია.

მშობლები ბაია, ლევან აბდუშელიშვილები შვილით კოტიკოთი იუწყებიან
ჭ უ ჩ უ კ ი ს
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. დაკრძალვა 29/VIII 6 ს. საბასულხანის 14. 7628

მეუღლე მიხეილ, შვილები ნინო, გრეტა, თამარ, გივი, მული კატო. სიძეები ილია რამიშვილი, არსენ ლიჩელი ოჯახით იუწყებიან
პასიკო მახარაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/VIII ს. იანეულში (ჩოხატაურის რ.). 7629

მეუღლე ალექსანდრე, შვილები მიხეილ, გრიშა, ვახტანგ, ვარა, ანა, თამარ, ნუნუ, სიძეები, რძლები იუწყებიან
მართა წამალაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/VIII 8 ს. გამოსვენება 28/VIII 6 ს. კავშირის, 8. 7630

დ. რუხაძე, ა. მაჭარაძე, ა. კახიანი, გ. მახარაძე, რ. უთურაშვილი, ი. ჩხაიძე, ბ. კობალავა, კ. ახობაძე იუწყებიან გიორგი ტაბატაძის შვილის
პატარა სანდროს
გარდაცვალებას. 7633

შვილები მიტო, ვახტანგ, კატო, თამარ, მარგო, რძლები ლიუბა, რუზანა, ძმა ნიკოლოზ იუწყებიან
ეფემია ჩიქოვანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/VIII 8 ს. გამოსვენება 28/VIII 6½ ს. მე-2-ე. ხიდისთავის ჩიხი № 1. 336

ასინეთი, ნინო, შალვა, სილიბისტრო ბურკაძეები, ოლია, იოსებ, ნინო, შალიკო, ვალიკო, ალექსანდრე მორჩაძეები, პლატონ ძაძამია, ვარა, ვასო დევიძეები იუწყებიან
თ ე ნ გ ი ზ ი ს
გარდაცვალებას. 7622

სტეფანე კიკვაძე ცოლშვილით და დედით იუწყება
მიხაკო კიკვაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა კოხნარში. 70

ძმები კოლია და სერგო ჯალაღანიები ცოლშვილით იუწყებიან
ანა დიმიტრის-ასულ ჯალაღანია-ჯაფარიძის
გარდაცვალებას. 7632

ძმა გრიგოლ, რძალი ანა ხაბულიანები, ძმისწულები შალიკო, ვალიკო ცოლშვილით, ლუბა შვილებით იუწყებიან
ექ. ტერენტი გლახოს-ძე ხაბულიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სურამში 27/VIII. 7634

საქ. სარეწაო საბჭოს გემოკვების კავშირის თანამშრომლები იუწყებიან ამავე კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის გრიგოლ თარხნიშვილის ძმის
ივანე თედორეს-ძე თარხნიშვილის
გარდაცვალებას. 7635

თინა, ვალიკო ქალაგანიძეები, სანდრო შუბლაძე, ჟორა, ვალოდია ყიფიანები, მიშა შავიშვილი, შ. ჩიგოგიძე, კ. ლეჟავა, კ. მუჯირი, საშა წიქვაძე, იუწყებიან ნოშრევან ბურკაძის შვილის
თ ე ნ გ ი ზ ი ს
გარდაცვალებას. 7621

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ბავშვთა პირველი კოლონიის თანამშრომლები იუწყებიან თამარ საყვარელიძის ძმის
ალიოშა საყვარელიძის
გარდაცვალებას. 7613

შვილი თამარ, სიძე დათიკო მარგველაშვილი, შვილიშვილი ნათელა, იუწყებიან
ანიჩკა ჯაფარიძის
გარდაცვალებას. 7627

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—8—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 8—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—8—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 8—81—84, სასოფლო-სამეურნეოს — 8—78—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 8—80—88, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—8—80—84, წერილების—8—78—24, პ.-მგ. მორიგის და გამომუშვების—8—81—65, გამომცემლობის—8—51—81, სტამბის დირექტორის—8—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11 43